


600
1950/2

საქართველო
სიუმცოւო

მასნიერება და ტექნიკა



მასნიერებ-ტექნიკური
ჟურნალი

7

1950

სასახლის სამსახურის მიერ გამოცემა აკადემია

საქართველოს სსრ მაცნეობისათვის აკადემიის ჟოვერითობის
მაცნეობის კურსების გარემონტის შერნარი

1950 ივლისი № 7

რედაქციის მისამართი:
ლესელიძის ქ. № 22, ტელ. 3-46-49

ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხები

პასუხი ამხანაგ ე. კრაშენინიკოვას

ამხ. კრაშენინიკოვა!

გიპასუხბო თქვენს კითხვებზე.

1. კითხვა. თქვენს სტატიაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ენა არც ბაზისია და არც ზეღნაშენი. მართებული იქნებოდა თუ არა მიგვეჩნია, რომ ენა ისეთი მოვლენაა, რომელიც ბაზისსაც ახასიათებს და ზეღნაშენსაც, თუ უფრო სწორი იქნებოდა მიგვეჩნია ენა შუალედურ მოვლენად?

პასუხი. რა თქმა უნდა, ენას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ახასიათებს ის საერთო რამ, რაც აქვს ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, მათ შორის ბაზისსა და ზეღნაშენს, სახელდობრ: იგი ისევე ემსახურება საზოგადოებას, როგორც ემსახურება მას ყველა სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, მათ შორის ბაზისი და ზეღნაშენი. მაგრამ სწორედ ამით ამოიწურება ის საერთო რამ, რაც ყველა საზოგადოებრივ მოვლენას აქვს. შემდეგ იწყება სერიოზული განსხვავებანი, საზოგადოებრივ მოვლენებს შორის.

საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ მოვლენებს, ამ საერთოს გარდა, აქვთ თავისანთი სპეციალისტური თავისებურებანი, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განსხვავებენ და რომლებსაც მეცნიერებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვთ. ბაზისის სპეციალისტური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება ეკონომიკურად. ზეღნაშენის სპეციალისტური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვა იდეებით და საზოგადოებისათვის ქმნის შესაბამის პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა დაწესებულებებს. რა არის ენის სპეციალისტური თავისებურე-

ბანი, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან? ეს თავისებურებანი ისაა, რომ ენა ემსახურება საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, როგორც საზოგადოებაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება, როგორც ისეთი საშუალება, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გაუგონ ერთმანეთს და მოაწყონ ერთობლივი მუშაობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, როგორც წარმოების დარგში, ისე ეკონომიკური ურთიერთობის დარგში, როგორც პოლიტიკის დარგში, ისე კულტურის დარგში, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. ეს თავისებურებანი ახასიათებენ მხოლოდ ენას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი ახასიათებენ მხოლოდ ენას, ენა დამოუკიდებელი მეცნიერების — ენათმეცნიერების — შესწავლის ობიექტია. ენას ეს თავისებურებანი რომ არ პერნოდა, ენათმეცნიერება დამოუკიდებელი არსებობის უფლებას დაკარგავდა.

მოკლედ: ენა არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ბაზისთა კატეგორიას, არც ზეღნაშენთა კატეგორიას.

იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ბაზისსა და ზეღნაშენს შორის „შუალედურ“ მოვლენათა კატეგორიას, რადგან ასეთი „შუალედური“ მოვლენები არ არსებობენ.

მაგრამ იქნებ ენა შეიძლება მივაკუთვნოთ საზოგადოების საწარმოო ძალთა კატეგორიას „კუთხით, წარმოების იარაღთა კატეგორიას? მონთლაც, ენასა და წარმოების იარაღებს შორის „კუთხით, კუთხით არსებობს: წარმოების იარაღი, ისეთ როგორც ენა, კლასებისადმი თავისებურებანის განვითარება“.

ჩევლობას ამჟღავნებენ და შეუძლიათ თანაბრად ეშვახურონ საზოგადოების სხვადასხვა კლასებს, როგორც ქველ, ისე ახალ კლასებს. იძლევა თუ არა ეს გარემოება იმის საფუძველს, რომ ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას მივაკუთვნოთ? არა, არ იძლევა.

ერთხანს ნ. ი. მარმა, რაკი დაინახა, რომ მისმა ფურმულამ — „ენა ბაზისის ჭედნაშენია“, — გამოიწვია საწინააღმდეგო მოსაზრებანი, გადაწყვიტა „გარდაქმნილიყო“ და გამოაცხადა, „ენა წარმოების იარაღიან“. მართალი იყო თუ არა ნ. ი. მარი, ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას რომ მიაკუთვნა? არა, იგი უთუოდ არ იყო მართალი.

საქმე ის არის, რომ ენასა და წარმოების იარაღებს შორის მსგავსება იმ ანალოგით ამოიწურება, რომელზეც ეს არის ახლა ვილაპარაკე. მაგრამ სამაგიეროდ ენასა და წარმოების იარაღებს შორის ძირეული განსხვავებაა. ეს განსხვავება ისაა, რომ წარმოების იარაღები აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს, ენა კი არაფერს არ აწარმოებს ან „აწარმოებს“ მხოლოდ სიტყვებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადამიანებს, რომლებსაც წარმოების იარაღები აქვთ, შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი, ხოლო იმავე ადამიანებს, რომლებსაც ენა აქვთ, მაგრამ წარმოების იარაღები არა აქვთ, არ შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი. ძნელი გასაგები არ არის — ენას რომ შეეძლოს მატერიალური დოვლათი აწარმოოს, ლაქლაქა ადამიანები მსოფლიოში ყველაზე მდიდარი იქნებოდნენ.

2. კითხვა. მარქსი და ენგელსი ენას განსაზღვრავენ როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს“, როგორც „პრაქტიკულ, ...ნამდვილ ცნობიერებას“. „იდეები, — ამბობს მარქსი, — ენისაგან მოწყვეტილად არ არსებობენ“. რამდენად უნდა მუშაობდეს, თქვენი აზრით, ენათმეცნიერება ენის შინაარსობრივ მხარეზე, სემანტიკაზე და ისტორიულ სემასიონლოგიასა და სტილისტიკაზე, თუ ენათმეცნიერების საგანი მხოლოდ ფორმა უნდა იყოს?

პასუხი. სემანტიკა (სემასიონლოგია) ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობრივ მხარეს სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლას საქმეში. ამიტომ სემანტიკისათვის (სემასიონლოგიისათვის) უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი შესაფერი ადგილი ენათმეცნიერებაში.

მაგრამ სემანტიკის საკითხების დამუშავებისა და მისი მონაცემების გამოყენებისას არავითარ

შემთხვევაში არ შეიძლება გაზვიადებულად შევა-ფასოთ მისი მნიშვნელობა, და მით უმეტესად უ-იძლება ბოროტად გამოვიყენოთ იგი. მხედველობა-ში მყავს ზოგიერთი ენათმეცნიერი, რომლებიც, პეტისმეტად გატაცებული არიან რა სემანტიკით, უგულებელყოფენ ენას, როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს“, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია აზროვნებასთან, წყვეტენ აზროვ-ნებას ენისაგან და ამტკიცებენ, ენა ღრმომოქმულ ხდება, შეიძლება უენოდაც იოლად წავიდეთო.

ყურადღება მიაქციეთ ნ. ი. მარის შემდეგ სიტ-ყვებს:

„ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ვლინდება ბგერებით; აზროვნების მოქმედება გამოუვლინებლადაც ხდება ...ენა (ბგერითი) ახლა უკვე უთმობს თავის ფუნქციებს უახლეს გამოგონებებს, რომლებიც უეჭველად ძლევენ სივრცეს, ხოლო აზროვნება აღმავლობის გზით მიღის წარსულში მის მიერ დაგროვებულისა და გამოუყენებელისაგან და ახალი მონახვეჭისაგან, და მომავალში იგი გარიყავს და მთლიანად შეცვლის ენას. მომავალი ენა ბუნებითი მატერიისაგან თავისუფალ ტექნიკაში მზარდი აზროვნება იქნება. მას ვერ გაუმკლავდება ვერავითარი ენა, თუნდაც ბგერითი, რომელიც მაინც დაკავშირებულია ბუნების ნორმებთან“ (იხ. ნ. ი. მარის „რჩეული ნაშრომები“).

ეს „შრომა-მაგიური“ აბდაუბდა ჩვეულებრივი აღამიანური ენით რომ გამოვთქვათ, შეიძლება იძასკვნამდე მივიდეთ, რომ:

ა) ნ. ი. მარი აზროვნებას წყვეტის ენისაგან;

ბ) ნ. ი. მარს მიაჩნია, რომ აღამიანთა ურთიერთობა შეიძლება განხილული დეს უენოდაც, თუმთ აზროვნების შემწეობით, რომელიც თავისუფალი იქნება ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, თავისუფალი იქნება „ბუნების ნორმებისაგან“;

გ) წყვეტის რა აზროვნებას ენისაგან და „ათავისუფლებს“ რა მას ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, ნ. ი. მარი იდეალიზმის ჭაობში ეფლობა.

ამბობენ, ადამიანს თავში აზრები მანამდე ებადება, სანამ ისინი მეტყველებაში გამოითქმებოდეს, ებადება ენობრივი მასალის გარეშე, ენობრივი გარსის გარეშე, ასე ვთქვათ, შიშველი სახითო. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის სწორი. ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ, მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და

ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავი-სუფალი, ენის „ბუნებითი მატერიალისაგან“ თავისუ-ფალი შეშველი აზრები არ არსებობს. „ენა აზ-რის უშუალო სინამდვილეა“ (მარქსი). აზრის რეალურობა ენით მეღავნდება. მხოლოდ იდეალის-ტებს შეუძლიათ ილაპარაკონ ენის „ბუნებითი მა-ტერიასთან“ დაუკავშირებელ აზროვნებაზე, უნო აჩროვნებაზე.

მოკლედ: სემანტიკის გაზვიადებულმა შეფასე-ბამ და მისმა ბოროტად გამოყენებამ ნ. ი. მარი იდეალიზმამდე მიიყვანა.

მაშასადამე, თუ სემანტიკას (სემასიოლოგიას) დავიცავთ ისეთი გაზვიადებისა და ბოროტად გა-მოყენებისაგან, როგორსაც უშვებენ ნ. ი. მარი და მისი ზოგიერთი „მოწაფე“, მას შეუძლია დღი სარგებლობა მოუტანოს ენათმეცნიერებას.

3. კითხვა. ოქვენ სავსებით სამართლიანად ამბობთ, რომ ბურუუებსა და პროლეტა-რებს პირდაპირ საწინააღმდეგო იდეები, წარმოდ-გენები, ზნეჩვეულება და ზნეობრივი პრინციპები აქვთ. ამ მოვლენათა კლასობრივი ხასიათი უთუოდ დაეტყო ენის სემანტიკურ მხარეს (ხოლო ზოგჯერ მის ფორმასაც — ლექსიკურ შედგენილობას, — როგორც სწორად აღნიშნავთ ოქვენს სტატიაში). შეიძლება თუ არა, როცა ანალიზს ვუკეთებთ კონ-კრეტულ ენობრივ მასალას და, პირველ რიგში, ენის შინაარსობრივ მხარეს, ვილაპარაკოთ მის მი-ერ გამოხატულ ცნებათა კლასობრივ არსზე, განსა-კუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ ადამიანის აზრის ენობრივ გამოხატ-ვას, არამედ სინამდვილისადმი ადამიანის დამოკ-დებულებასაც, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მისი კლასობრივი კუთვნილება?

პასუხი. მოკლედ რომ ვთქვათ, ოქვენ გსურთ იცოდეთ, — გავლენას ახდენენ თუ არა კლასები ენაზე, შეაქვთ თუ არა მათ ენაში თავიანთი სპეცი-ფიკური სიტყვები და გამოთქმები, არის თუ არა შემთხვევები, რომ ადამიანები ერთსა და იმავე სიტყვებსა და გამოთქმებს ანიჭებდნენ სხვადასხვა აზრობრივ მნიშვნელობას კლასობრივი კუთვნი-ლების მიხედვით?

დიახ, კლასები გავლენას ახდენენ ენაზე, შეაქვთ ენაში თავიანთი სპეციფიკური სიტყვები და გა-მოთქმები და ზოგჯერ სხვადასხვანაირად ესმით ერთი და იგივე სიტყვები და გამოთქმები. ეს უეპ-ველია.

მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს, რომ სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, ისევვ

როგორც სემანტიკის სხვადასხვაობას, შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეთ ერთიანების ურთო-სახალხო ენის განვითარებისათვის, რომ მათ ძალუბრ შეასუსტონ მისი მნიშვნელობა ან შეს-ცვალონ მისი ხასიათი.

ჯერ-ერთი, ასეთი სპეციფიკური სიტყვები და გა-მოთქმები, ისევე როგორც სემანტიკის სხვადა-სხვაობის შემთხვევები, ენაში იმდენად მცირეა, რომ ისინი საეჭვოა მთელი ენობრივი მასალის ერთ პროცენტს შეაღებნენ. მაშასადამე, სიტ-ყვებისა და გამოთქმების მთელი დანარჩენი ული-დესი მასა, ისევე როგორც მთელი სემანტიკა, საერთო საზოგადოების ყველა კლასისათვის.

მეორე, სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც კლასობრივი ელფერი აქვთ, მეტყვე-ლებაში იყენებენ არა რაღაც „კლასობრივი“ გრა-მატიკის წესების მიხედვით, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, არამედ არსებული საერთო-სახალ-ხო ენის გრამატიკის წესების მიხედვით.

მაშასადამე, სპეციფიკური სიტყვებისა და გამო-იქმების არსებობა და ენის სემანტიკის სხვადა-სხვაობის ფაქტები კი არ უარყოფენ, არამედ, პირ-იქით, ადასტურებენ ერთიანი საერთო-სახალხო ენის არსებობასა და აუცილებლობას.

4. კითხვა. ოქვენს სტატიაში ოქვენ სავსებით სწორად ახასიათებთ მარს, როგორც მარქსიზმის გულგარიზატორის. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლინგ-ვისტებმა, მათ შორის ჩვენც, ახალგაზრდობამ, უნდა უკუვაგდოთ მთელი ლინგვისტიკური მემკვიდ-რეობა მარისა, რომელსაც მაინც აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევები ენის დარგში (დის-კუსიაში მათ შესახებ სწერდნენ ამხ. ჩიქობავა, ამხ. სანეუევი და სხვები)? შეგვიძლია თუ არა ჩვენ, კრიტიკულად ვუდგებით რა მარს, მაინც ავილოთ ის, რაც მას სასარგებლო და მნიშვნელო-ვანი აქვს?

პასუხი. რა თქმა უნდა, ნ. ი. მარის ნაშრომები მარტო შეცდომებისაგან როდი შედგება. ნ. ი. მარი ყოვლად უხეშ შეცდომებს უშვებდა, როცა ენათმეცნიერებაში დამახინჯებულად შეკქონდა მარქსიზმის ელემენტები, როცა ცდილობდა შე-ექმნა ენის დამოუკიდებელი თეორია. მაგრამ ნ. ი. მარს აქვს ცალკეული, კარგი, ნიშიერად დაწერი-ლი ნაწარმოებნი, სადაც იგი, ივიწყებს რა თავის თეორიულ პრეტენზიებს, კეთილსინდისიერად და, უნდა ითქვას, უნარიანად იკვლევს ცალკეულ ენებს. ასეთ ნაწარმოებებში შეიძლება საქმაოდ ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საგულისხმო ვიზო-

კოთ. გასაგებია, რომ ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო, რაც ნ. ი. მარის აქეს, უნდა ავიღოთ და გამოვიყენოთ.

5. კითხვა. საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ბევრ ლინგვისტს ფორმა მაღი მი მიაჩნია. ძალიან გვინდა ვიცოდეთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რა არის ფორმალიზმი ენათმეცნიერებაში და როგორ დავძლიოთ იგი?

პასუხი. ნ. ი. მარი და მისი „მოწაფები“ „ფორმალიზმში“ ბრალს სდებენ ყველა ენათმეცნიერს, ვინც ნ. ი. მარის „ახალ მოძღვრებას“ არ იზიარებს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სერიოზული და ჰქვიანური.

ნ. ი. მარი გრამატიკას თვლიდა ფუჭ „ფორმალიზმ“, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც გრამატიკული წყობა ენის საფუძვლად მიაჩნიათ — ფორმალისტებად. ეს კი მთლად სისულელეა.

მე ვთქმიქობ, რომ „ფორმალიზმი“ გამოიგონეს „ახალი მოძღვრების“ ავტორებმა ენათმეცნიერების და არის არის სერიოზული და ჰქვიანური.

ბაში თავიანთ მოწინაღმდეგებთან ბრძოლის გასადგილებლად.

საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზია არა ნ. ი. მარისა და მისი „მოწაფების“ მიერ გამოგონილი „ფორმალიზმი“, არა მედ არაქერევის რეამი და ოთორიული ნაკლოვანებანი ენათმეცნიერებაში. არაქერევის რეამი შექმნეს ნ. ი. მარის „მოწაფებმა“. ენათმეცნიერებაში თეორიული არევდარევა შეიტანეს ნ. ი. მარმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა. საბჭოთა ენათმეცნიერება ერთ წერტილზე რომ არ გაიყინოს, ამისათვის საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას როგორც ერთი, ისე მეორე. ამ ბოროტებათა ლიკვიდაცია გააჯანსაღებს საბჭოთა ენათმეცნიერებას, გამოიყვანს მას ფართო გზაზე და საბჭოთა ენათმეცნიერებას შესაძლებლობას მისცემს პირველი აღილი დაიკავოს მსოფლიო ენათმეცნიერებაში.

II. სტალინი

1950 წლის 29 ივნისი.

მუვიდობის დასაცავად, რმის გამარავებელთა წინააღმდეგ

მხურვალე მოწონებით შეხვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდგილ წევრთა, წევრ-კორესპონდენტთა, მეცნიერ-თანამშრომელთა და მუშა-მოსამასურეთა საერთო კრება სსრკ ზმალების საბჭოს განცხადებას მშეიდობის მომზრეთა მსაფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტაცია ულესი მოწოდების მხარდაჭერის შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუხრანიშვილი, აკადემიის პარტბიუროს მდრევი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. ჭილაია, აკადემიის ვიცე-პოვეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდგილი წევრი ა. შანიძე, პროფ. დ. კობახიძე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. გომელაშვილი, ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კალაბუზოვი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ნამდგილი წევრები ვ. თოფურია და ი. გრიშაშვილი, ამოხალებრენ რა აკადემიის მუშაკთა კოლექტივის საერთო აზრს, ერთხმად იწონებდნენ ჩვენი მთავრობის თანმმოვარებულ სამშენებლობო პოლიტიკას, მხარს უჭერდნენ სტოკოლმის მოწოდებას, ზისღით დაპარაკობდნენ ინგლის-ამერიკულ იმპერიალისტებს, რომლებიც აგრესიის აშკარა აქტივობაზე გადავიდნენ.

კრებამ ერთხმად მიიღო მისალმება ხალხთა დიდი ბეჭდის — მშვიდობისათვის ბრძოლის მედროვების ამხანაგ

ი. ბ. სტალინისადმი. იქვე კრებაზე სტოკოლმის მოწოდებას ხელი მოაწერა 700-ზე მეტმა შეცნიერმა და მეცნეებულად.



ხელმოწერა მშვიდობის მომხრეთა მსაფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკოლმის მოწოდებაზე. ფოტოსზე (მარცხნილ მარჯვნავ): საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუხრანიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდგილი წევრები გ. ახლოედანი და პ. ჭილაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. აგლაძე.

გევიღობის ქალები უძლეველი არიან

მთელი პროგრესული მსოფლიო, ყოველი ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები მშვიდობისათვის ბრძოლის უმაღალო-ია მოძრაობაში მიიცვა. მათი აღშეოთხება და გლობუსურობა მიმართულია ახალი ომის გამარტინელთა წინააღმდეგ — ამერიკისა და ინგლისის მმართველი იმპერიალისტური ხროვის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს ახალ განსაცდელს უშეძებს.

ინგლისელ-ამერიკელი რეაქციონერები ვერ შერჩევიან იმას, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად საქმე ისე არ მოეწყო, როგორც მათ სურდათ — ვერ მიიბოვეს ნანატრი მსოფლიო ბატონობა. პირიქით, უმაღალითოდ განმტკიცდა და გაფართოვდა დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური რეაქციონელი წრები კვლავ ისტრავენ მსოფლიო ბატონობის მოპოვებისავენ, ვარაუდობენ. რომ ახალი ომის მსვლელობაში, რომელსაც ისინი ამზადებენ, უძლებენ ჩაახშონ მშრომელთა ფართო მასების მზარდი მოძრაობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, იმედოვნებენ, რომ ახალი ომის გზით იპოვნან გამოსაცალს იმ ღრმა და განუურნავი წინააღმდეგობებიდან, რომელშიც გაიძლართა თანამედროვე კაპიტალიზმი.

ზაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა სულ უფრო არახელსაყრელი ხდება იმპერიალისტური ბანაკისათვის. საერთაშორისო რეაქციაშ უკეც განიცადა მთელი რიგი სერიოზული დამარცხებანი. დიდი საბჭოთა სახელმწიფოს განუსრელმა წინსალამ კომუნიზმის გზით, სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ჩინეთის ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ და ჩინეთში ხახალხო რესპუბლიკის დამყარებამ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძებნამ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ გამოიწვია ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული ბანაკის შემდგომი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს.

ამერიკისა და ინგლისის ახლანდელი მმართველები გაფარიცხით ემზადებიან ომისათვის, ქმნან ახალ-ახალ ბლოკებს, კაშირებს მშვიდობისმოყვარე ხალხებს, პირველ რიგში სსრ კაშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, იმუქრებიან ატომური იარაღის გამოყენებით, არა-არსებული წყალბადის ბომბებით. მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობა მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველ ახალ სიტყვას იყენებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის, მშრომელთა მაზრიალური და საყოფაცხოვრებო პირვების ამაღლებისათვის, კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციური მმართველები მეცნიერებას, ტექნიკას წარმართავენ ხალხის საზიანდ, ხალხთა მასების განაღურებისა და მოსახლის მიზნებისათვის, სხვა ქვეყნების ხალხთა დამოწმებისა და გაჩანაგებისათვის. ამიტომ არაან ამერიკისა და ინგლისის მმართველი წრები ასე წინააღმდეგი ატომური იარაღის აერძალვისა, ამიტომ ჩაასალეს მთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მშვიდობისმოყვარე ქვეყნების უცე-ლა ლონისძიებანი, რომელებიც მიმართული იყო ატომური ენერგიის საომარი მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ. ხალხთა ხოცვა-ულების მოყვარული ავაზაკები უკვე აღარ სექტ-დებიან მუქარას და ეგრეთწოდებულ „ცივ იმს“ და აშერად შეუდგნენ თავიანთი ბნები და ბინძური საქმის განხორ-

ციელებას. მთელი მსოფლიო მოწამეა ამერიკის შმართველი ხროვის თავხედური აგრესისა, რაც მან დაწყო კორეებს ხა-ხალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჩინეთის ირგანული წაწილის — კუნძულ ტაივანის ხელში ჩასაგდებად.

მაგრამ იმპერიალისტ-რეაქციონერთა ყოველი გამოხდომა აწყდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა მძლავრ ძალებს. ხალხთა მასებს არა სური იმი. ისინი მიისწრავებიან მშვიდობისაკენ, დემოკრატიისაკენ. მთელ მსოფლიოში დღითი-დღე იზრდება და ფართოვდება საყოველთაო-სახალხო მოძრაობა მშვიდობის დასაცავად, ახალი ომის გამარჯებელთა წინააღმდეგ; ისინი ძალას და ენერგიას არ იუსტიცია, რათა გზა გადაუდობოს იმის გამარჯებელთ, უძლებელებით განაღინ ახალი ომი. ამჟამად მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა 76 კვეყნის 800 მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს. მშვიდობისათვის იმპერიან მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები განურჩევდა ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, პარტიული კუთხინილებისა და რელიგიური რწყენისა.

მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მეცნიერების მოღვაწეთა როლი. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივ კომიტეტს, რომელიც გასულ წელს შეიქმნა, ხელმძღვანელობს მთელ მსოფლიოში სასერგანთქმული მეცნიერი-ფიზიკის, ნობელის ლაურეატი, ფრანგი აკადემიკოსი ფრედერიკ ულიონ-კუური. ეს შესანიშავა მეცნიერი-რევოლუციონერი ინიციატორია მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტუმმლის სესიის, რომელმაც განისილა საკითხი ხალხთა უორის მშვიდობის დაცისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. მუდმივი კომიტეტის ამ სესიამ შილდი შემდეგი მსოფლიოს ხალხებისადმი:

„ჩვენ მოვითხოვთ აუცილებლად აიკრძალოს ატომური იარაღი, როგორც ადამიანთა დაშინებისა და მასპერივი მოსახლების იარაღი.

ჩვენ მოვითხოვთ დაწესდეს მკაცრი საერთაშორისო კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი.

ჩვენ მიგვანინია, რომ ის მთავრობა, რომელიც პირველი ინ-მარს ატომურ იარაღს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, ჩია-დენს დანაუზულ კაცობრიობის წინაშე და იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც სამხედრო დამნაშავე.

ჩვენ მოუწოდებთ კეთილი ნების ყველა ადამიანს მთელ მსოფლიოში — ხელი მოაწეროს ამ მოწილებას“.

მთელი მსოფლიოს პიროვრებული ადამიანები აღუროთვა-ნებით შეხედნენ მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტის ამ მოწოდებას. ყველა, ვითვისაც ძირიფასია მშვიდობა, ვისაც სტულს ახალი ომის გამარჯებელი ავანტიურისტები, შეუდგა ხელის მოწერას მოწილებაზე. მოკლე დროში სტუმმლის მოწოდებაზე ხელი მოაწერა 100 მილიონზე მეტმა აღმანიშნა. ხელმოწერა კვლავ უდიდესი წარმატებით გრძელდება.

ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტზე ხელი მოაწერს და მშვიდობის დასაცავად აქტიურად გამოილიან მსოფლიოში ცნობილი მეცნიერება — ჭონ ბერნალი, კაზირი, კეტლინ ლონსტრეილი, ჭონ ჩემპიონი, პირლისი, შესი, ჭონსა და სხვა მრავალი, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, იტა-ლიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების შმართველი ტრეები უაღრესად მკაცრ ლონისძიებებს იღებენ მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ. ფრანგი ხელის გამარჯებელი დალი ჩაინიანი ხალხის განაღურებისა და ბინძობის მიზნებისათვის, სხვა ქვეყნების ხალხთა დამოწმებისა და გაჩანაგებისათვის. ამიტომ არაან ამერიკისა და ინგლისის მმართველი წრები ასე წინააღმდეგი ატომური იარაღის აერძალვისა, ამიტომ ჩაასალეს მთა გაერთიანებული ერების მშვიდობისათვის, როგორც ადამიანთა დაშინებისა და მასპერივი მოსახლების იარაღი.

შივიდნენ, რომ ამერიკულთა ბრძანებით ატომის ენერგიის უზალესი კომისიის თანამდებობიდან გადააყენეს მშვიდობისათვის დაუღალავი მშპროლი დიდი მეცნიერი ულიონ-კუური. მაგრამ საფრანგეთის ხელისუფალნი, ისევე როგორც ამერიკისა და ინგლისის ხელისუფალნი, უძლურნა არიან შეგაჩრდონ მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა. მთელ მსოფლიოში გაისამა პროტესტის ხმა საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ, უამრავი რეზოლუციები და მოთხოვნები ცენა გაგზავნილი ულიონ-კუურის დასაცავად, მშვიდობის და-დი საქმის დასაცავად, რისთვისაც ასე მგზენებარედ იბრძვის ეს სახელმოვანი მეცნიერი. ატომური ბომბის აკრძალვის მოთხოვნაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია წარმოებს ყველა კონტინენტზე, ამსხვერეს ყველა დაბრკოლებას და სულ უფრო მეტად იღებს საყოველთაო-სახალხო მოძრაობის სახეც.

საბჭოთა ხალხები, რომდებიც მთელ მსოფლიოში მშვი- დობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან, ერთსულოვანი მოწოდებით უხველნენ მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტის სტოკომლმის სესიის მოწოდებას. საბჭოთა ხალხის ეს სულისკვეთება გამოხატა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭომ პირველმა სესამ, რომელმაც მიიღო გან- ცხადება, რომ მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილებანი უხვესამებიან ყველა ხალხის სარსებო რეტრესებსა და მათს მიწრაფებას მთელ მსოფლიოში მტკიცე და სანგრძლივი მშვიდობისაკენ. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ განაცხადა, რომ მზად არის თანამშრომ- ლოს სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოებთან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომი- ტეტის წინადადებათა განხორციელებისათვის საჭირო ზომების უხმიშავებასა და უხერულებაში. „სსრ კავშირის უმაღ- ლესი საბჭო, — ნათქვამია უხმილე ამ განცხადებაში, — რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც თანამდებობისათვის, კვლავაც მტკიცედ და შეუცვერად გან- ხორციელებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრული ურთიერ- თობის ამ პოლიტიკას, გაერთიანებული ერების ორგანიზა- ციის მეშვეობით მიიღებს საჭირო ზომებს და გამოიყენებს ყველა სხვა გზას საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშო- რისო უზიშროების უზრუნველსაყოფად“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ განცხადებას მხურ- ვალედ გამოხხატა საბჭოთა ხალხი. სტოკომლმის მოწოდე- ბაზე ხელისმოწერა საბჭოთა ხალხს მიაჩინა უდიდესი მინშე- ველობის საქმედ მშვიდობისათვის ბრძოლაში, ახლი მოის გამარჯებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ხალხის ერ- თიანმა ნებამ თავისი გამოხატულება პონა მშვიდობის დაც- ვის საბჭოთა კომიტეტის პლენურის რეზოლუციაში — ატო- მური იარაღის აკრძალვის თაობაზე მშვიდობის მომხრეთა

მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ამა- წლის 30 ივნისიდან ხელმოწერის შეგროვების შესახებ.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ხაბჭოთა ადამიანები მსურვალე- ბის შესაბამის ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების აშ- უმნიშვნელოვანების ღონისძიებას და სიხარულით აწერენ მას- ზე ხელს. თითოეული საბჭოთა მოქალაქე ხელს აწერს რა სტოკომლმის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შე- სახებ, ამით ახალი იმის გამარჯებლებს ერთხელ კიდევ თვალნათლივ უჩვენებს, რომ საბჭოთა ხალხი ურყვად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობის ლენინურ- სტალინურ საგარეო პოლიტიკას. მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში საბჭოთა ხალხის ეს ახალი წვლილი გამარავლებს მშვიდობისა და დემოკრატიის მზარდი ბანკის ძალებს, აღ- ურთივიანებს მთელ მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს მათს კეთილშობილურ ბრძოლაში მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის.

ამრიცის შეერთებული შტატების, ინგლისისა და მათ- თან ბლოკში მყოფი სახელმწიფოების მმართველები იარაღს აჩარუნებენ, ანგარიშს არ უწევენ ხალხთა მილიონებს, ზა- სებს, რომელებიც მშვიდობისაკენ მიისწავლიან. ხოლო, რო- გორც ვ. ი. ლენინი გვასწავლდა, „პოლიტიკა მასების გარე- შე, არის ავანტიურისტული პოლიტიკა“. ჭრი ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა წარმატება ჰქონდა ასეთ პოლიტი- კას. ასევე, ახალი იმის გამარჯებელთა პოლიტიკა შეიძლება დამთავრდეს მშვიდობის მათი სამარცვიონ მარცხით, ვი- ნაიდან მშვიდობის ძალები განუზომლად მეტაც იმის ძალებ- ზე. მშვიდობის ძალებს ძალუდო ალგორინ იმპერიალისტები. მსოფლიოს მილიონობით უბრალი ადამიანი დღითი-დღ სულ უფრო ღრმად იმსკვალება იმ აზრით, რომ იმის იმპე- რიალისტ გამარჯებელთა წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ხალხის საქმეა.

მთელი საბჭოთა ხალხი განსაკუთრებული ერთსულოვნო- ბით აძლევს ხმას მშვიდობას. ათი ივლისისათ- ვის სტოკომლმის მოწოდებას ხელი მოაწერა 96 მი- ლიონზე მეტმა საბჭოთა მოქალაქემ, კერძოთ საქარ- თველოში 18 ივლისამდე მოწოდებას ხელი შოაწერა 2.25.8.578 მოქალაქემ, მშვიდობის მომხრეთა მუდმი- ვი კომიტეტის მოწოდებაზე ხელმოწერით საბჭოთა ადამიანე- ბი გამოხატავენ თავიანთ ერთგულებას მშვიდობის საქმისად- მი, თავიანთ მზადყოფნას დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფ- ლიობში, თავიანთ მილიონთაურ დარაჯმულობას მშობლიური ბილუშევიური პარტიის გარშემო, თავიანთ უსაზღვრო ერთ- გულებას ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის დიდი მედრო- შისადმი — ყველა ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

უძლეველია მშვიდობის ფრონტი. მთელი მსოფლიოს ხალხთა გაერთიანებული ძალებით ჩვენ ავლაგმათ იმის გამარჯებელებს.

საქართველოს სსრ მინისტრის საბჭოში

თი პრემია 25 ათასი მანეთის რაოდენობით საუკე- თეს ნაშრომისათვის ქიმიის და ფიზიკის მეცნიე- რებათა დარგში. პრემია მინიჭებულ იქნას ერ- ხელ ყოველ სამ წელიწადში.

დაწესდეს პ. გ. მელიქიშვილის სახელობის სამი სტაბენდია სტაბინის სახელობის თბილისის სა- ხელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დარიალობანი სტუდენტებისათვის.


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქი- მიის ინსტიტუტის „შრომების“ მორიგი გამოცემა მიეძღვნას პ. გ. მელიქიშვილის ხსოვნას. (სტატესი).

გამოჩენილი ქიმიკისის, პროფესორ პ. გ. მელი- ქიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავში- რებით და ჩვენი ქვეყნის ქიმიის მეცნიერების გან- ვითარების საქმეში მისი დიდი დამსახურების აღ- სანიშვნავდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგენი ქვეყნისთვის ქიმიის ინსტიტუტისათვის პ. გ. მელიქი- შვილის სახელის მიეუთვების შესახებ.

დაწესდეს პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ერ-

პეტრე ტრიტონის-ძე აერიქიაზილი

1850 // 1950



პ. მელიქიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი პარტიოტი.

თერთმეტი ივლისს ასი შელიწადი შესრულდა ქართველი ხალხის სასიქადულო შვილის — დიდი შეცნიერის, პირველი ქართველი უმცირესი სასწავლებლის — თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ორგანიზაციონის და პირველი რექტორის, გამოჩენილი მეცნიერისა და მკვლევარის პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილის დაბადებიდან.

პ. გ. მელიქიშვილი დაიბადა თავისი დროის კულტურულ ოჯახში, სადაც ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი ქართველი პოეტები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ლოლობერიძენი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ მაშინდელ საზოგადოებაზე, მეტადრე მათ მიერ დაარსებულ ორგანიზაცია: „მოამბეთი“.

დიდი რევოლუციური დემოკრატების ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის „სოვორემნიკის“, გურუნის „კოლოკოლის“ იდეები ბევრ თავგამოდებულ მიმღებარსა და ქომაგს პოლობდა საქართველოში. ისინი აღვიძებდნენ და აღვივებდნენ საზოგადოებრივ აზრს. ეს ახალი მიმღინარეობანი და განწყობილებანი გამოიხაილს პოლობდნენ მელიქიშვილების ოჯახშიც. ამის დადასტურებას ვპოულობთ თვით პ. მელიქიშვილის მოგონებაში: ... „60-იან წლებში ყველა გრძნობდა, რომ უნდა გამოიცვალოს ხალხთა ცხოვრების მიმართულება. ამგვარ მიმართულებით იყო ჩვენი მაშინდელი რუსეთში მოსწავლე ახალგაზრდობა გატაცებული და სამშობლოში დაბრუნებისას ისინი ცდილობდნენ გაევრცელებინათ ეს ახალი აზროვნება და მიმართულება ჩვენშიც. ასეთები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ლოლობერიძენი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ მაშინდელ საზოგადოებაზე, მეტადრე მათ მიერ დაარსებულ ორგანიზაცია: „მოამბეთი“.

ამ დიდების გავლენის ქვეშ ჩვენ ახალგაზრდა მოსწავლენიც ვოცნებობდით მოგვემზადებინა ჩვენი თავი მომავალი საზოგადო მოღვაწეობისათვის.

... დიდი გეგმებით ვაპირებდით უნივერსიტეტზე შესვლას“.

18 წლისამ დაამთავრა პ. მელიქიშვილმა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია (ახლა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა). ის აპირებდა გამგზავრებას პეტერბურგს, ნევის ნაპირებზე, სადაც ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის გზებარე ხმაშ გამოაღვიძა რუსეთის მოწინავე საზოგადოება,

განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მაგრამ ფილტვების სისუსტის გამო ექიმებმა ოდესაში ჭასვლა ურჩიეს და ისიც შევიდა ახლად გახსნილ ოდესის (ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ნოვოროსია“) უნივერსიტეტში. აქ ამ დროს, რეაქციული პროცესურის გვერდით, იყო მცირე, მაგრამ მცირდო ჯგუფი გამოჩენილი მოწინავე პროგრესული მეცნიერებისა — ბოტანიკოსი ლ. ს. ცენკოვსკი, ძიმიკოსები ნ. ნ. სოკოლოვი და ა. ა. ვერიგო, ცნობილი ი. მეჩნიკოვი, და სხვები. ჩქარა მათ შეემატა სახელგანთქმული ი. სეჩენოვი. აქვე შეხვდა პ. მელიქიშვილი უკვე მეოთხე კურსზე მყოფ ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილს, მომავალ გამოჩენილ მეცნიერსა და მოღვაწეს. სამშობლოსა და მეცნიერებისადმი სიყვარულმა სამუდამოდ დააკავშირა ისინი ურღვევი მეგობრობით.

1872 წელს პ. მელიქიშვილმა წარმატებით დაამთავრა წალენის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება.

პ. მელიქიშვილის გიმნაზიის წინა და გიმნაზიაუნივერსიტეტში სწავლის წლებში უდიდესი ძერები მოხდა ფიზიკასა და ქიმიაში: აღმოჩენილ იქნა სპექტრული ანალიზი, ქიმიკოსთა პირველი ინტერნაციონალური ყრილობის „შემდეგ“ (1860 წ.) ქიმიაში თანდათან მკვიდრდებოდა ატომურ-მოლეკულური მოძღვრება, ორგანულ ქიმიაში თანდათანობით ნათელი გახდა როგორც რადიკალთა, ისე ტიპების თეორიის სისუსტე. 1861 წ. ა. მ. ბუტლეროვი საბოლოოდ აყალიბებს თავის „ანაგობის თეორიას“ და, ბოლოს, 1869 წ. დ. ი. მენდელეევი ქმნის თავის გენიალურ ჰერიოლულ კანონს და სისტემას.

ბუნებრივია, რომ პ. მელიქიშვილის ადრინდელ მისწრაფებას ნევის ნაპირებისაკენ ახლა შეემატა სურვილი იმ საკითხების ღრმად დამუშავებისა დ. ი. მენდელეევის ხელმძღვანელობით, რომლებც პერიოდული კანონიდან და სისტემიდან გამომდინარეობდნენ. მაგრამ ამ დროს უნივერსიტეტმა პ. მელიქიშვილი საზღვარგარეთ მიავლინა.

ჯერ კიდევ საზღვარგარეთ მივლინებამდე თავის მასწავლებელ ა. ვერიგოსთან ერთად მან შეასრულა ორი შრომა ორგანული ქიმიის ციკლიდან. უკვე ამ პირველ შრომებში გამოავლინა პ. მელიქიშვილმა თავისი ღრმა მეცნიერული ინტუიცია და დამოუკიდებელი მიდგომა ქიმიური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი საკითხების გაღაწყვეტისადმი.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ის გაეცნ გერმანიის უმთავრეს ქიმიურ ცენტრებს. ოდესაში

დაბრუნების შემდეგ პ. მელიქიშვილი აღჩეული იქნა აგროქიმიური ლაბორატორიის ლაბორატორიული ტაღ. ამ პერიოდში ის ღრმა ინტერესს იჩინს მოლეკულაში ატომთა სივრცეული განლაგების (სტერეოქიმიის) საკითხებისადმი. ამ მიზნით იგი იწყებს უნაკერი მუავების კვლევას. ორმაგ გადაბმაში ის ხელაც ახალი ორგანული ნაერთების სინოზისა და ახალი სტერეოქიმიური წარმოდგენების საფუძველზე მათი ანაგობის გარკვევის გასაღებს. ის იწყებს აკრილმჟავას გამოკვლევით, რაც სამაგისტრო დისერტაციისათვის გამოიყენა (1880 წ.) და ჩქარა სადოქტორო დისერტაციის (1885 წ.) მოსამზადებლად კროტონმჟავების კვლევაზე გადავიდა.

მისი გამოკვლევების ეს ციკლი მიზნათ ისახავდა გამოსაკვლევი ნაერთების ანაგობის, მოლეკულაში ატომების ურთიერთ გადაბმის, მათი სივრცეული განლაგებისა და ორიენტაციის გამოკვლევას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სტერეოქიმიური თეორიის განმტკიცებისათვის. ლია ჯაჭვის ქონე უნაკერი მუავებისა და მათ ნაწარმთა ამ სათუთ-ქიმიურმა კვლევამ, ახლებურმა მიდგომამ მათი შემაღებელობისა და ანაგობის საკითხებისადმი საშუალება მისცა პ. მელიქიშვილს პირველად სინოზურად მიეღო მრავალი ასეთი ნაერთი, მაგალითად, ეგრეთშოდებული გლიციდმჟავები (ეს სახელწოდება პ. მელიქიშვილმა შემოიღო), ზოგიერთი ოქსი- და ამიდომჟავები, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ OH და NH₂-ჯგუფებით ჩანაცვლების ადგილის მცხედვით. ამგვარად, ეს გამოკვლევები ეხებოდა ბუნებრივი აბრეშუმის შემაღებელობის, ხელოვნური აბრეშუმის სინოზისა და, არაპირდაპირ, ცილების ანაგობისა და შემაღებელობის საკითხებს.

ფუნმარ-მალევინის მჟავებში თითო წყალბადისა და კარბოქსილის მეთილის ჯგუფებით, კროტონის მჟავებში კი — ერთი წყალბადის მეორე CH₃-ჯგუფით ჩანაცვლების გზით პ. მელიქიშვილმა მიღილ მჟავების თანაჯგუფი — ტიგლინ- და ანგელიკმჟავა, როთაც ბრწყინვალედ დაამტკიცა უნაკერი მჟავების კვლევის თავასი მეთოდის დიდი ნაყოფიერება.

ამ გამოსავალი იზომჟავების პიდროქსიდაცია-ამიდაციით, ჰალოიდაცია-გლიციდაციით პ. მელიქიშვილმა მიღილ რიგი მნიშვნელოვანი და თეორიულად საინტერესო ნაერთები, რომელთა სინოზი მაშინ შეუძლებლად ან, უკეთეს შემთხვევაში, მეტად ძნელ საქმედ თვლებოდა, უმთავრესად იმის გამო, რომ უნაკერი მჟავების მოლეკულთა სტრუქტურა გამოურკვეველი იყო.

ეს იყო სრულიად ახალი მიღება ნაერთების ანაგობის საკითხის გადაწყვეტისადმი—მათი სინთეზის გზით და, ამავე დროს, ორგანული სინთეზის ბრწყინვალე გამარჯვება, როთაც ოდესის უნიკერსიტეტმა ჩრუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქიმიური ცენტრების ყურადღება მიიპყრო.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია გლიციდმჟავებისა და მათ ნაწარმთა სინთეზმა, რაც პირველად პ. მელიქიშვილმა განახორციელა.

გლიციდმჟავა — ორი მეზობელი OH—ჯგუფის ციკლური დეპიდრატაციის პროდუქტი — გადაიქცა საწყის პროდუქტად რიგ რთული და სათუთი სინთეზის განხორციელებისათვის.

პირველად პ. მელიქიშვილმა მოახერხა აგრეთვე ისეთი ამილომჟავების მიღება, რომლებშიც OH და NH₂-ჯგუფები დაკავშირებულია ნახშირბადის მეზობელ ატომებთან. ამ ნაერთებიდან განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პ. მელიქიშვილის მიერ სინთეზირებული პროდუქტი, რომელიც 1865 წ. აბრეშუმიდან გამოყოფილი სერინის იზომერი აღმოჩნდა. ამ პროდუქტის იზომერული ხასიათის ხაზგასმის მიზნით პ. მელიქიშვილმა მას იზოსერინი უწოდა.

სერინი CH₃(OH)—CH(NH₂)—COOH
იზოსერინი CH₂(NH₂)—CH(OH)—COOH.

ზოგიერთი გერმანელი ქიმიკოსი უარყოფდა იზოსერინის იზომერულ ხასიათს და ანაგობას. ოდესისა და გერმანელ ქიმიკოსებს შორის გაჩაღებულ დისკუსიაში გამარჯვებული გამოვიდა ოდესა: 17 წლის შემდეგ ემილ ფიშერმა ეს იზორომა აღმოაჩინა ცილების სინთეზის ცდების დროს, როთაც სავსებით დაადასტურა პ. მელიქიშვილის აზრის სისწორე.

ორი ათეული წელიწადი გრძელდებოდა პ. მელიქიშვილის მუშაობა ორგანული ქიმიის დარგში. მისმა კლასიკურმა გამოკვლევებმა, შესანიშნავმა სინთეზებმა განამტკიცა ახალი მიმართულებანი ორგანულ ქიმიაში, აამაღლა ადესის ქიმიური სკოლის პრესტიული და პ. მელიქიშვილს გამოჩენილი მკვლევარის დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა.

1894—1895 წლებში იწყება პ. მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის მეორე ოცწლეული, რომელიც ძირითადად არაორგანული ციკლისაღმი იყო მიძღვნილი.

1894 წელს მეოთხედი საუკუნე შესრულდა გენიალური პერიოდული კანონის შექმნიდან. სწო-

რედ ამ დროისთვის დაგრძოვდა ზოგიერთი მიზანისთვის გადაწყვეტილი მიღებული იქნა ნაერთები (ზეუანგები, კომპლექსური ნაერთები), რომლებიც თითქოს ეწინააღმდეგებოდნენ პერიოდულ კანონსა და ჯგუფურ მაქსიმალურ ვალენტობას*).

პ. მელიქიშვილმა და მისმა მოწაფემ ლ. პისარევსკიმ მიღებული სისტემის სხვადასხვა ელემენტის ზემუავები, აგრეთვე მათი მარილები და დაამტკიცეს, რომ ეს ნაერთები არ ეწინააღმდეგებიან ელემენტთა მაქსიმალურ ვალენტობას, ვინაიდან შეიცავენ უანგბადის ატომების ეგრეთ-წოდებულ ზეუანგურ ჯგუფს (O₂). ეს გამოკვლევები 1899 წელს ცალკე მონოგრაფიად გამოიცა, მათ ავტორებს ლომონოსოვისეული დიდი პრემია მიენიჭა. მაგრამ ყველა ჯილდოზე მნიშვნელოვანი რეა ის მაღალი შეფასება, რაც ამ გამოკვლევებს დიდმა მენდელეევმა მისცა: მან პ. მელიქიშვილსა და ლ. პისარევსკის „პერიოდული სისტემის განარტკიცებლები“ უწოდა, რაც ხაზგასმით არის აღნიშნული მის უკვდავ „ქიმიის საფუძვლებში“.

ამ გამოკვლევებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. მრავალი ამგვარი ნაერთი, მაგალითად, ზებორმჟავას მარილები, ამონიუმის ზეჟანგი და პიდრო-ზეუანგი პირველად იქნა მიღებული. ზოგიერთმა ამ მარილმა პრაქტიკული გამოყენება პპოვა, მაგალითად, ზებორმჟავას ნატრიუმის მარილმა („პერიოდულის“ სახელწოდებით).

ზეუანგებისა და ზემუავების კვლევა წარმატებით განაგრძო ლ. პისარევსკიმ და თავის სადოქტორო დისერტაციის თემად გამოიყენა.

ამგვარად, პ. მელიქიშვილი როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ ქიმიაში მუშაობდა საკვანძო საკითხებზე, მისმა გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქიმიის საგანძურში.

პ. მელიქიშვილის კვლევის მესამე დიდი ციკლი მოიცავს სოფლის მეურნეობის საკითხებს, რომლებზედაც აღრევე ენერგიულად მუშაობდა მისი უახლოესი მეგობარი ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილი. ისინი ერთად ამუშავებდნენ სამხრეთ-რუსეთისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მერძეობის, ყველის ხარშვის, ღვინის დაყენებისა და სხვა საკითხებს. არანაკლებ აინტერესებდა მას აგროქიმიის საკითხები. კვლევის ეს ციკლი განსა-

*) დაწყრილებით ამის შესახებ ის. ჩვენს უურნალში (№ 10, 1949 წ.) პ. გოგორიშვილის სტატია „ქიმიის ისტორიის შესანაშავი თარიღი“.

კუთხებით გაიშალა პ. მელიქიშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ამ მუშაობაში ჩააბა მან თავისი უახლოესი მოწაფეები და თანამშრომლები — თ. ბებურიშვილი, ნ. ციციშვილი, მ. ბეჭია, მ. შალამბერიძე, ა. ცაგარელი, გ. რცხილაძე და სხვები.

ეს გამოკვლევები მიზნად ისახავდნენ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას და ინტენსიფიკაციას, მის წარმოებას მეცნიერულ საფუძვლებზე.

ცხადია, რომ ორგანული და არაორგანული ქიმის საკითხების კვლევით, სოფლის მეურნეობის საკითხების დამუშავებით როდი ამოიწურებოდა პ. გ. მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა. ამ მოღვაწეობის ბრწყინვალე ფურცლებს შეადგენს იგრეთვე სხვადასხვა აღგილას (რუსთა და საქართველოში) ნაპოვნი მეტეორიტების შესწავლა. პ. მელიქიშვილი, როგორც დიდი მეცნიერი, ცოცხლად ეხმაურებოდა თანადროული მეცნიერების უცელა „საადლეისო“ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს.

მეცნიერული კვლევის პარალელურად ის დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. პეტრე მელიქიშვილი ეკუთვნოდა აღმზრდელ მასწავლებელთა იმ ტიპს, რომლებიც, როგორც დ. მენდელევი აღნიშნავდა, „არა მარტო აწვდიან ახალგაზრდობას უკვე აღიარებულ ჭეშმარიტებათ, არა მეღ... განაგრძიბენ წინსვლას და თავიანთი მისწავლებებით აღაფრთოვანებენ შთამომავლობის მასას“. მას რაღაც არაჩეულებრივი აღლო ჰქონდა იმ სტუდენტთა გამორჩევისა, რომელთაც უყვარდათ მეცნიერება. პ. მელიქიშვილი ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ. მან აღზარდა მთელი რიგი ახალგაზრდები, რომლებმაც ასახელეს სამშობლო და უდიდესი წვლილი შეიტანეს მეცნიერებაში. მათ რიცხვს ეკუთვნის უხუცესი რუსი მეცნიერი ქიმიკოსი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ზელინსკი, განსვენებული აკადემიკოსები ლ. ვ. პისარევესკი, ა. ე. ფერსმანი, პროფესორი პ. პეტრენკო-კრიტჩენკო და სხვები, რომლებიც ყოველთვის გულთბილად და ღრმა პატივისცემით იგონებდნენ გარეგნულად პირქუშ, მაგრამ გულსათუთ, არაჩეცულებრივად გულთბილ და მზრუნველ მასწავლებელს.

სტუდენტობის წლების ჩათვლით პ. მელიქიშვილმა თითქმის ნახევარი საუკუნე (მცირედი გამონაკლისით) დაპყო თდესაში. მაგრამ მთელი ამ წლების განმავლობაში, თავის გულთბილ უფროს მეგობართა — ვასილ პეტრიაშვილთან ერთად, მცირედი თავის საქართველოსთან იყო. ორივენი რცნებობდნენ იმ ღრმზე, როცა საშუალება მიეცემოდათ სამშობლოში გაღმოეტანათ მოღვაწეო-

ბა. ვ. პეტრიაშვილს ეს არ დასცალდა (ის 1908 წ. გარდაიცვალა).

როცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური ჩვენლუციის წყალობით ქართველ ხალხს საკუთარი უნივერსიტეტის შექმნის საშუალება მიეცა, პ. მელიქიშვილი პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის აკადამიური იდგა და მას წილად ხვდა ბეღდიერება ყოფილიყო მისი პირველი ოქტომბრი. განსაუთრებით ნაყოფიერად გაიშალა მისი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაყარების შემდეგ. ის ამ ღროს შევიდ ათე. ულ წელს იყო გადაცილებული, მაგრამ ახალგაზრდული ენთუზიაზმით მუშაობდა, რაღგან ხედავდა თუ როგორის ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდებოდა ახალი ხელისუფლება სწავლა-აღზრდის საქმეს, მეცნიერებასა და მეცნიერების მუშაკებს. ის ჰქმნიდა ახალ კათედრებს, ლაბორატორიებს, თავის გარშემო იკრებდა ცოდნას და შრომას მოწყვერებულ ახალგაზრდობას, მხურვალე მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ კულტურულ-სამეურნეო ფრონტზე და სახულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

1924 წელს მთელმა საქართველომ ზეიმით აღნიშნა პ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი. 1927 წლის დასწყისში ის აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იმავე წლის 23 მარტს პეტრე მელიქიშვილი გარდაიცვალა.

ის დაკრძალულია თბილისის უნივერსიტეტის ეზოში. მის საფლავზე მაღალ კვარცხლებებზე დაგებულია სახალხო მოქანდაკის იკაობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული მისი ბიუსტი. მისი სახე უნივერსიტეტის მრავალრიცხვოან სტუდენტობას მოაგონებს, თუ როგორ უნდა ცხოვრება და შრომა სამშობლოსა და მეცნიერებისათვის.

„მეცნიერული ნათესი ხალხის სამკელად აღმოცენდებაო“, — უყვარდა პ. მელიქიშვილს დიდი მენდელეევის სიტყვების გამეორება. ახდა მისი ჯველაზე სანუკვარი იცნებანი. სტალინური კრძალულების მზით გამთბარ საქართველოს აქვს არა მარტო საქართველოში უნივერსიტეტი, რომელიც არაჩეცულებრივად გაფართოვდა და გაიზარდა, მას აქვს ათობით სხვა უმაღლესი სასწავლებელი და საკუთარი მეცნიერებათა აკადემია, რომელზედაც, სხვა პრატისტი, ქართველ ხალხს ოცნებაც კი არ შეეძლო. ჰყვავის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა. შეიქმნა ინდუსტრიისა და გლეხტროფიკაციის გიგანტები. უდიდეს წარმატებებს აღწევს სოციალისტურად გარდაქმნილი სოფლის მეურნეობა.

ქართველი ხალხი სიყვარულით იგონებს თავის სასიქაღულო შილს, — პეტრე მელიქიშვილს, რომელიც სამშობლოსა და მეცნიერებისათვის ცხოვრობდა და იღწვოდა.

მოგონიანი

პეტრე მელიქიშვილი

კავკი შენიშვილი

საქართველოს ხსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაზდილი წევრი

პეტრე მელიქიშვილისთანა დიდი პიროვნება ცოტა შემხვედრაა ჩემს სიცოცხლეში.


პ. მელიქიშვილი მე პირველად გავიცანი თბილისში 1917 წ. დეკემბერში, როდესაც ქართული კულტურის ენთუზიასტთა პატარა ჯგუფი, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ქართული უნივერსიტეტის გახსნის სამზაღვის პრაქტიკულად შეუდგა.

მე ერთბაშად მომხიბლა მისმა უბრალოებამ და კეთილშობილებამ. თავმდაბალი, უაღრესად თავაზიანი და კეთილი ადამიანი ყველას იზიდავდა და იწვევდა მასთან სასაუბროდ.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის ყველა მოსამზადებელი ეტაპი განვლილი იყო. საჭირო იყო მას სათავეში ჩასდგომოდა ვინმე სახელმოხვეჭილი მეცნიერი, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი. არავის ეჭვი არ ეპარებოდა (მათ შორის თვით პ. მელიქიშვილსაც), რომ ახლად გახსნილი უნივერსიტეტის რექტორი უნდა ყოფილიყო ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის დაარსების საქმეს. მაგრამ თვით ივანე ჯავახიშვილმა დაუინებით უარყო თავისი კანდიდატურა და წამოაყენა კანდიდატურა პეტრე მელიქიშვილისა. — „საქმისათვის ასე სჯობსო“, — განაცხადა მან. მართლაც, ეს ის დრო იყო, როცა ქართული უნივერსიტეტის იდეა საკმაოდ მომწიფებული იყო, მაგრამ ამ უნივერსიტეტს (და საზოგადოდ ქართულ კულტურას) ხევრი მტერი ჰქონდა, რომლებიც ცდილობდნენ თავშივე ჩაელრჩოთ ის და საქმე სხვაგვარად მოექანიკებინათ. საბოლოოდ მათ, რა თქმა უნდა, იმედი გაუცრუვდათ, მაგრამ იმხანად ძალიან საჭირო იყო ტაქტი და დიდი წინდახედულება. ამ გარემოების გამო პეტრე მელიქიშვილის რექტორად არჩევა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ჩანდა და ივანე ჯავახიშვილის წინადაღებას წინააღმდეგობა აღარავინ გაუწია.

პირველ რექტორად არჩეულ იქნა პ. მელიქიშვილი (1918 წ. 13 იანვარს, ძველი სტილით). უნივერსიტეტის პრესტიული გაიზარდა. მას სათავეში სახელგანთქმული მეცნიერი და მეტად პატიოსანი აღამიანი ედგა.

პ. მელიქიშვილი რუსულ სკოლაში აღზრდილი კაცი იყო. მისი ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა რუსული იყო, ქართულად ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუშინდა და ლექციების კითხვას თავიდანვე ქართულად შეუდგა (1918



პ. მელიქიშვილის პორტრეტი, შესრულებული ფანჯრით აკადემიკოს ა. ე. ფერსმანის დედის — მ. ე. ფერსმანის მიერ ოდესაში.

წლის შემოდგომიდან, როცა სამაოემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გაიხსნა). რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ეს სამნელო იყო მისთვის, მაგრამ თანდათანობით ენა გაიტეხა და კარგად მოხუცებულმა კაცმა ამ დაბრკოლებას სძლია.

პ. მელიქიშვილი მეტად უანგარო კაცი იყო. მას კარგად ესმოდა ყოველი ადამიანის მოვალეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. უნივერსიტეტის ბიუგებრი საკითხშიც ის თავის მტკიცე ხასიათს ყოველთვის იჩენდა. მახსოვს ერთი მისი განცხადება: თუ კი შეიძლება, რომ დაზოგილ-იქნეს სახელმწიფოს მიერ მოცემული თანხილა თუნდაც ერთი კაპიკი, აუცილებლად უნდა დავზოგოთო.

პეტრე მელიქიშვილი უცოლშვილო კაცი იყო (სხვათა შორის, ერთ-ერთ თავის შეცდომად პეტრე მელიქიშვილს ის მიაჩნდა, რომ თავის დროზე ცოლშვილს არ მოეკიდა). პირველად ცხოვრობდა

მატინოვის (ამჟამად კალანდაძის) ქუჩაზე, № 13 სახლში, მეორე სართულზე (ეს სახლი მაშინ ორ-სართულიანი იყო, მესამე სართული შემდეგ და-შენეს), შემდეგ გადავიდა მაჩაბლის ქუჩისა და ლერმონტოვის ქუჩის კუთხის სახლში (№ 8/13), პირველ სართულზე, სადაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ლაბორატორია იყო. ქიმიის კათედრის თანამშრომლები დიდი პატივისცემით ეპურობოდნენ და დიდად უწყობდნენ ხელს.

გარეგნულად პ. მელიქიშვილი საშუალო ტანის კაცი იყო, ხმელ-ხმელი, ჭალარაშერეული, ყოველ-თვის სუფთად ჩატარდა. ის საქმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრე იყო და ვინც მის ნდობას მოიპოვებდა, შეიყვარებდა, მაგრამ ძალიან ეჯავრებოდა ცულ-ლუტი, უსაქმო და უფხო ხალხი.

პ. მელიქიშვილი ძალიან მოწადინებული იყო, რომ კარგად მოეწყო ქიმიური ლაბორატორია. უნივერსიტეტს თანხები აკლდა. თანხებიც რომ პერნიდა, ძნელი იყო იმდროინდელ პირობებში ქიმიური ლაბორატორიის მოწყობილობის შოგნა. აშიტომ, როცა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა

საბჭომ ქიმიური ლაბორატორია უნივერსიტეტის შემოსწორია, ყველას გვესიამოვნა. საჭირო ყოველი ას-ლაბორატორიის სასწრაფოდ ჭიათურიდან თბილის გადმოტანა. პეტრე ძალიან წუხდა, რომ თვითონ არ შეეძლო ჭიათურაში წასკლა ამ საქმი-სათვის და ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა ეს საქმე მე ვიკისრე და კიდევაც შევასრულე.

პ. მელიქიშვილი ფიცხი კაცი იყო, ადვილად აენთებოდა ხოლმე რამე შეუფერებელი საქმის გამო. წყნარსა და თავმდაბალ პეტრეს არ მოსწონდა გარეგნული ფართი-ფურთი, მისგან შორს იყო ზვიაღობა და ამპარტევნობა. ერთ თავმომწონე პროფესორს პეტრე მელიქიშვილთან საუბარში როგორლაც წამოსცდა, რომ „უნივერსიტეტის მო-ამბეში“ უნდა იბეჭდებოდეს გამოკვლევები მხო-ლოდ ისეთი პირებისა, რომელთაც ევროპის სამეც-ნიერო წრეებში იცნობენ, როგორიცა ხართ, მაგა-ლითად, თქვენ და მე.

უკაცრავად,—ერთბაშად მოუჭრა სიტყვა თავის მოსაუბრეს პეტრე მელიქიშვილმა, — მე ჩემს თავს ასეთად არ ვთვლიო.

გურისხმიური აღმზრევი

პროფესორი პ. გ. ბოგაზევი *

პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილს ჩვეულებ-რივად ჩვენ ვეცნობოდით II კურსზე. ის კითხუ-ლობდა ორგანულ ქიმიას და განაგებდა რაოდე-ნობითი ანალიზის ლაბორატორიას.

პირველ ხანებში ჩვენ რამდენიმედ გვაშინებდა ამ ადამიანის პირქუში გამომეტყველება, შემდეგ კი თანდათანობით ვეჩვევოდით დაგვენახა და გვე-გრძნო მასში უსასრულოდ კეთილი და გულისხმი-ერი ადამიანი, რომელიც დიდი ყურადღებით გვეპყრობოდა. I კურსზე, როცა ჩვენ რაო-დენობითი ანალიზში ვმუშაობდით, შევეჩვით ლაბორატორიის თავისებურ „შემოვლას“ განსვე-ნებულ პროფესორს ს. მ. ტანატარის მიერ. ეს პა-ტარა, გნომის მსგავსი ადამიანი, რომელსაც თავს უმშვენებდა ჭიათურა, დიდი თმა, ეზოთი თავის ლა-ბორატორიისაკენ გავლის დროს, ზოგჯერ თვისე-ბითი ანალიზის ლაბორატორიის კარებთან გაჩერ-დებოდა, წაიბურტყუნებდა — „შეხეთ, მუშა-ობები!“ — და განაგრძობდა გზას. ამით თავდებოდა ს. მ. ტანატარის მიერ ლაბორატორიის „შე-მოვლას“.

პ. გ. მელიქიშვილი რაოდენობითი ანალიზის ლაბორატორიაში ზუსტად დილის 9½ საათზე

* პროფ. პ. გ. ბოგაზევი, პროფ. პ. გ. მელიქიშვილის ყოფილი მოწაფე, ამჟამად ოდესის უნივერსიტეტის პროფე-ტორი სასწავლო ნაწილში.

ცხადდებოდა. ის ჩამოუვლიდა თითოეულ სტუ-დენტს, ეცნობოდა, თუ რას აკეთებდა ყოველი ჩვენგანი, გვაძლევდა შენიშვნებსა და მითითებებს. შემდეგ ის მოდიოდა 2 საათზე და, ბოლოს, საღა-მოს 6 საათზე. პირველ ხანებში თავს უხერხებულად ვგრძნობდით, შემდეგ შევეჩვით ამგვარი შემოვ-ლის აუცილებლობას და ხშირად ამ შემოვლათა დროს ბევრ სხვადასხვა საკითხზე ვესაუბრებოდით პეტრე გრიგოლის-ძეს.

პეტრე გრიგოლის-ძე ცხოვრობდა თავისი გა-მოკვლევებით, სტუდენტებთან ურთიერთობით, ლაბორატორიით. სხვა ცხოვრება, როგორც ჩანს, მას არ ჰქონებია. მას სოვე ზოგჯერ შევიდოდი პ. გ. კაბინეტში.

— ბოლიში, ახლა ვერ მიგიღებთ. სახლში უნდა წავიდე.

ჩვენ გვიყვარდა თვალყურის დევნება, თუ რო-გორ „მიღიოდა პ. გ. სახლში“. ეს „გასეირნება სახლისაკენ“ მდგომარეობდა იმაში, რომ ის გავი-ლოდა უნივერსიტეტის ეზოდან, გარშემო შემო-ულიდა მთელს შენობას და უკანვე ბრუნდე-ბოდა.

პ. გ. „სახლიდან დაბრუნდა“.

პირადად ჩემს მიმართ პეტრე გრიგოლის-ქე დიდ მზრუნველობას და გულისხმიერებას იჩენდა. ჯერ კიდევ II კურსზე ყოფნისას საუბრების დროს მეუბნებოდა:

— აი, დაამთავრებთ და დაგტოვებთ უნივერსიტეტში!

ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს მის კაბინეტში, მან თაროდან აიღო ჰანტშის „სტერეოქიმია“ და მაჩუქა. ეს წიგნი ახლაც მაქვს შენახული.

3. მეღიციშვილის ნორჩი მეგობრები

პროფესორი ასულან ნიკოლაძე

მეცნიერების დამსახურებული მოდევა

ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის პ. მელიქიშვილის დაბადების თარიღის აღნიშვნა პირველ რიგში მისი ბავშვობის დაუვიწყარ მოგონებებს გვიყენებს თვალშინ, რომელიც იმდენად ცოცხალი იყო და გულზე მომხვედრი, იმდენად მხიარული და დამაინტერესებელი, რომ მისი მეგობრების ოჯახში ბ-ნი პეტრე ყველა ასაკისათვის ერთნაირი სანატრელი სტუმარი იყო და მოსაუბრე, „საბავშვო ოთახის“ მოსახლეობის ჩათვლით. ისე რომ ეს ასაკიც თავის მეგობრად თვლიდა „ბაბუა პეტრეს“ და ზოგჯერ უფროსებსაც კი არ ანებებდა ძასთან საცბარს.

თავის მხრივ ბაბუა პეტრეც არაჩვეულებრივ უურადღებას იჩენდა ამ „პატია მოქალაქეების“ მიმართ და შესანიშნავ უნარს მათთან პირველივე შეხვედრიდან დამეგობრებისა „ალქიმიკოსთა შავი ჯაღოქრობის“ ნიადაგზე, თუ „პატია ადამიანი“ ცოდნის წყურვილის იმ „ციურ ნაპერჭყალს“ განოიჩენდა, რომელიც თვით პეტრეს ბავშვობიდანვე „უწვამდა გულს“ და რომელსაც იგი, შემდგომ, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, ხარბად „მიაკვლევდა“ და „უდარაჯებდა“ თავის ნორჩი მეგობრების ცელქობა-მოქმედიანობაში.

ეს თვისება სავსებით მოულოდნელი მხარე იყო ამ განდეგილი — დიდი მეცნიერის თავისებური პიროვნებისა, რომლის შესახებ ყველამ იცოდა, რომ მისთვის არ არსებობდა პირადი ცხოვრება მეცნიერული კვლევაძიების გარეშე. მისი პირადი ოჯახიც, ცხოვრებაც და მეგობარიც მისივე დადასტურებით, „მარტო მეცნიერება იყო და მისი გზით სამშობლოს გაბედნიერება, ე. ი. ლაბორატორია და უნივერსიტეტი ანუ, მოკლედ, კოლება, წიგნი და კალაბი“. — ხოლო პირველს ამ „სამი დიდი ძალიდან“, ე. ი. ქიმიური ექსპერიმენტის განმასახიერებელ „ქოლბას“, იგი განსაკუთრებით აფასებდა, როგორც პატია ადამიანების ცოხიბლების და მძიებლობით „მოწამლვის“ ფადოსნურ საშუალებას. და ეს ასეც იყო მის ხელში.

პეტრე გრიგოლის-ქე შესანიშნავად კითხულობდა ლექციებს, რომლებიც ყოველთვის იყო მეტად კონკრეტული, ღრმა და კარგად აგებული.

მრავალი წელი გავიდა ამ ღროიდან, მაგრამ ას-ლაც უდიდესი მაღლობის გრძნობით და სიყვარულით ვიგონებ ამ გარეგნულად პარქუშ, მაგრამ უაღრესად სათნო, გულითად, ღრმად კულტურულ და ღრმად პრიციპულ ადამიანს.

რამდენადაც ჩვენ, დიდებს, შიშით გვაკანკალებდა მის სიახლოვეში, — რამე არ იწყინოს უეცრად ჩვენმა „ქარაგმა-გულიანმა“ მასწავლებელმა და მისი „დინამიტური“ ბუნების ამოფრქვევა არ დაგვატუდეს თავზე, იმდენად „პეტრე ბაბუას“ ნორჩი მეგობრებს ეჭვიც არ ეპარებოდათ მისი ნაზი გულის დენთივით ფეთქადობისა და მათ არამც თუ არ ეშინოდათ მისი გაჯავრების ან შეწუხებისა, არამედ, პირიქით, თვით ბ-ნ პეტრეს მხიარული განცხადებით, ამ „პატივისმოყვარე პატია მბრძნებლებს“ იგი თავის უცილობელ „საკუთრებად“ მიაჩნდათ, მხოლოდ მათთვის გაჩენილ „მონა-მორჩილად“, — წარმტაცი ამბების დაუღალავ მთქმელად და „სასწაულების“ წარმოქმნის უშრეტ წყაროდ.

ეს მხარე ძლიერ დამახასიათებელია პ. მელიქიშვილის არაჩვეულებრივ რთული პიროვნებისათვის, რომელიც, მისი ყრმობის მეგობრების აზრით, „ისეთივე ფეროვანი და მრავალწახნაგოვანი ბუნების იყო, როგორც მისი მშობლეული ოჯახი ერთად აღებული“, რითაც ყველაფერია თქმული ჩვენი საზოგადოებრივი წარსულით დაინტერესებული პირებისათვის.

მართლაც, ქართულ კაბაში გამოწყობილი გრიგოლ მელიქიშვილი, პეტრეს მამა, თურმე, იმდენადვე მკაცრი „სახლის უფროსი“ და წარბშეკრული შინამბრძანებელი იყო თავის საკუთარ ოჯახში, რამდენადაც ფართოდ ხელგაშლილი „მეცნიატი“ ქართული კულტურის საქმეებში. დედა კი, პირიქით, „ღვთისა და ქმრის მოშიშე“, ღრმა მორწმუნე ქალი ყოფილა, დიდი მლოცვე და თავისი ქმარ-შვილისათვის უსიტყვოდ თავდადებული მეოჯახე, უაღრესად ნაზი გულისა და მონდენილი გარეგნობის მქონე, მისი ლეჩაქულისპირიანი ჩაცმულობითა და თავხურვით.

ამ ორიღან ბ-ნი პეტრე სახითაც „პირწავარდნილი დედა“ ყოფილა, ბუნებითაც ყველაზე უფრო მას გამომსგავსებია, თუ არ ჩავთვლით მის

„დინამიტივით ფიცხ“ გულს, რომლის ხშირი, უცარი აფეთქების დროს მასში, მისი მეგობრების აზრით, მამამისის „მაგარი“ ბუნება გაიელვებდა ხოლმე წუთიერად.

სულ სხვა იყო პეტრეს და — კეკე (შემდგომ „დროების“ რედაქტორის სერგი მესხის ცოლი და საბავშვო მწერალი), როგორც თავისი ნებისყოფითი ხასიათით, ისე გარეგნობით და, განსაკუთრებით, დამახასიათებელი, „მქაცრი“ თვალ-წარბით, იგი მამამისის გამეორება ყოფილა, იმ არსებითი განსხვავებით, რომ მამამისს ურყევ ანტიფემინისტად გამოუჩინა თავი 1870-იან წლებში, როდესაც მისი ქალიშვილი კეკე მგზნებარედ მიმხრობია ქალთა „ემანსიპაციის“ საქმეს, დაწყებულს თერგზალებულების „ახალი ახალგაზრდობის“ რიგებში. მიუხედავად მამამისის და უფროსი ძმის, სტეფანეს, სასტიკი წინააღმდეგობისა, იგი შვეიცარიაში გმიგზავრებულა „ურჩ“ ქართველ ქალთა „ნიკოლაძის ჯუფთან“ ერთად და იქ 1873—1876 წლებში უმაღლესი განათლება მიუღია, ძმა—პეტრეს თავამოდებული დახმარებით.

კიდევ ორი „გველაფრით თავისებური“ ხასიათი აღმოცენებულა მათ ოჯახში. ეს იყო უფროსი ვაჟი, სტეფანე მელიქიშვილი, მთლიანად ჩაფლული ახალი ქართული სტამბის მოწყობის და „დროების“ გამომცემლობის საქმეებში, და კველაზე უმცროსი შვილი, სოსიკო, „თავგანშირული“ მონალირე, რომელსაც, მისი და-ძმის ხუმრობითი თქმით, ახალგაზრდობაში „ქვეყანაზე არაფერი არ აინტერესებდა, გარდა მისი თოვლისა, ძალლებისა და მონალირის ნადალოისა“. ასეთ „რთულ“ პირობებში უჩენია თავი პეტრეს ალქიმიას.

ადვილი წარმოსადგენია, რა ბედი ეწეოდა ამ ქველებურად მორწმუნე, პატრიარქალურად დაყენებულ ოჯახში „ნორჩი ფაუსტის გამოჩეკას“ 10 წლის პეტრეს სახით, რომელიც „საღვთო სჭულის“ გაკვეთილებზე ისე დაინტერესებულა ჯოჯოხეთის „კუპრ-გოგირდზე“ მოსმენილი ამბებით, რომ გაგონილის შესამოწმებელ „ლაბორატორიად“ მათი სახლის დღედაღამ ამჟავებული სამზარეულოს ქურები და ცეცხლი გამოუყენებია, მამამისის კარალიდან მოპარული თოვის წამლის წამატებით! ამის შედეგი თავისთავად ცხადია, და ბ-ნი პეტრე შეუდარებელი იუმორით გვიდგენდა მოშხდარის ეფექტს გრიგოლ შელიქიშვილის სტუმართმოყვარე, მუდამ რჩეული საზოგადოებით სავსე სახლში, რომელიც იმუამად მოწინავე ქართველი მწერლობის და გაზეთ „დროების“ მთავარ ჟრაბს წარმოადგენდა.

მის ახალ „მომშვამავ“ ცდას ისე განურისხებია მამამისი, რომ მას, ბრაზით, „მიწიერი ჯოჯოხეთი“

მოუწყვია „ციური ჯოჯოხეთის“ მაღალტემპე-რატურული პროცესების ახალმოვლენილი მქელე-კარისათვის. უსარგებლიათ საბრალო ბაღლის ავადმყოფური მორცევითია და შემოუღიათ ცდით დასახიჩრებული პატარა „ფაუსტის“ ძალით წეყვანა სტუმრებით სავსე მისაღებ ოთახში, სადაც მას, სირცევილით დაწყვარს და თავხელ-შემობანდულ-შემოარტაშებულს, არაერთხელ შეხვედრია, თურმე, თვით აკავის და ილიას წინ წარდგომა, ეს-ეს არის საზარლად ცხვირპირ გადამწვარს, ხელებ დაზიანებულს, მისი უწარბო და უწამშამო სახის „იღიოტური გამომეტყველებით!“ სტუმრები, ცხადია, სიცილს ვერ იკავებდნენ ასე მოწყობილი „ალქიმიკოსის“ დანახვაზე, პატარა გმირს კი ეს „გულზე დანას სცემდა“ და ცხარე ცრემლებს აყლაბკინებდა სირცევილით, რომ მას, მართლაც, სამზარეულოს ღუმელი ბევრად უფრო აინტერესებდა იმუამად, ვიდრე საქართველოს მწერალთა რჩეული საზოგადოება და საუბარი...

3. მელიქიშვილმა ისე ცოცხლად იცოდა ამ თავისი ბავშვური „ტრაგედიის“ გადმოცემა დიდისა და პატარისათვის, ისე მხატვრულად ადგენდა მამამისის რისხვა-წყრომას და დედამისის მოთქმა-გოდებას მათი „სამედო ბიჭის“ გაუგებარი „გაველურების“ გამო, რომ უფროსებს სიცილით აატირებდა, ნორჩ მსმენელთა გულს კი გულთმისნურად იპყრობდა პირველივე გაცნობიდან. საინტერესოა, რომ სულ პაწია დამსწრებებს, რომელთაც ჯერ არაფერი ესმოდათ დიდების საუბრისა, უშუალოდ ბ-ნ პეტრეს მშვენიერი სახე იზიდავდა, თითქოს მარმარილოდან გამოქანდაკებული, მასზე ჩირაღლნებივით ანთებული ალერსის მასხვარი შავი თვალებით.

ბავშვობას პ. მელიქიშვილი ადამიანის კველაზე უფრო „გულნაპერშტლან“ ასაკად თვლიდა და ამ ნაპერშტლების აღმოჩენა-გაღვივება მას თავის მთავარ დანიშნულებად მიაჩნდა ცხოვრებაში.

„Из искры возгорится пламя“ — „ნაპერშტლიდან ალი აგიზგიზდებაო“, უყვარდა მას თქმა, თერგდალეულთა საყვარელი პოეტი-დეკაბრისტის სიტყვებით, და ამ ნაპერშტკალს იგი ყოველ თავის ახალ ნორჩ მეგობარში „უდარაჯებდა“, მის გადასაქცევად მეცნიერების „ციურ ალად“.

„აკვნიდანვე აყვანილი მოწაფე“ ბევრი ჰყავს ბ-ნ პეტრეს მიმოთხვესილი მეცნიერების მრავალგვარ დარგში. დაუვიწყარია მისი არაჩვეულებრივი „გაკვეთილების“ მხატვრული სანახაობა მის, პირშობ ლაბორატორიაში, ენგელის ქუჩაზე. ფერმკრთალი, სახედაღლილი, წელში წახრილი მოხუცი მაწავლებელი, ბნელი სამუშაო ოთახის „ფა-

უსტისებური” ალ-შუკვდიადით გარშემორტყმული და მის გვერდით — მაღალ სკამზე მოწყობილი, გაშლივით გაფუნთუშებული პაჭია „შეგირდი”, თავის ხელმძღვანელივით რაღაც ჯადოსნური სითხების დუღებაში ჩაბმული, ოლტაცებით ლოყება-ალებული და თვალებგაბრწყინებული, მგზნებარედ შეყვარებული თავის „მესასწაულე-მასწავლებელში”. ორივენი მხოლოდ სანთურის მოლურჯო ალით გაშექებულები და წითლად გაღვი-ცებული მინის ნათებით სახეგასხივებულები...

ეს სურათი თითქოს პ. მელიქიშვილის მთელი ცხოვრების გზის სიმბოლია: აკვნიდან სამარეტე — მთელი სიცოცხლე მეცნიერებას;

ასმა წელმა განვლო მისი დაბალებიდან, მაგრამ მისი მშვენიერი სახე, მუდამ ახალგაზრდა მგზნებარე გამოხედვით, დღესაც მისი ნორჩი მოწაფებით გარშემორტყმული გვიღგას თვალწინ, რადგან ამ ძირეფარე, ზუქრიმსწრაფ ასაკს თანაულოებით ყოველთვის მისი ცეცხლოვანი გულის ყოველი სიმი...

ძვირფასი მასწავლებელი და ხელმძღვანელი

დოცონთა სოცილ ჭავაშვილი


მე წილად მხვდა ბეღნიერება ვყოფილიყავი პროფ. პეტრე მელიქიშვილის სტუდენტი და შემდეგ მისი ხელმძღვანელობით ასისტენტად მემუშავნა.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ თბილისში საშუალება მოგვცა უმაღლესი სწავლა-განათლება ჩვენს დედაქალაქში და ჩვენს მშობლიურ ენაზე მიგვეღო. უნივერსიტეტის პირველ რექტორად არჩეულ იქნა ჩვენი მხცოვანი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი.

1918/19 სასწავლო წელს პროფ. პეტრე მელიქიშვილი პირველი კურსის სტუდენტებს გვიყითხავდა არაორგანულ ქიმიას, შემდეგ წლებში კი-ორგანულ, ფიზიოლოგიურ და აგრონომიულ ქიმიას. ამ ლექციებს ყოველთვის უამრავი სტუდენტობა ესწრებოდა, განსაკუთრებით პირველ კურსზე, და არა მარტო ჩვენი, საბუნებისმეტყველო დარგისა, არამედ სხვა დარგების სტუდენტობაც.

მრავალი წლის განმავლობაში სამშობლოს მოწყვეტილს, პეტრე მელიქიშვილს თითქმის დაკიწყებული ჰქონდა ქართული ენა, მაგრამ, თუ ლექციის დროს რომელიმე ტერმინი დაავიწყდებოდა, ცოტა ხანს შექრდებოდა, მოიგონებდა და უკველად ქართულად იტყოდა. გრძნობდა დიდი მასწავლებელი, რომ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას. დიდი მეცნიერი, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი იშრომა და მთელი თავისი ენერგია მეცნიერულ კვლევა-ძიებას მოაწოდა, განსაკუთრებულ მოკრძალებასა და პატივისცემას იწვევდა კველა სტუდენტში. ამ მოკრძალებას უფრო ზრდიდა მისი სახის გამომეტყველება, აღსავსე მზრუნველობით.

დიდი შრომა იყო საჭირო ახლად დაარსებული უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისათვის, მისი ავტო-



რიტეტის შექმნისათვის, მისი ცხოვრების მართებულად წარმართვისათვის.

თავაზიანობა, ადამიანის პატივისცემა და ყურადღება პროფ. პეტრე მელიქიშვილის მეტად დამახასიათებელი თვისებები იყო და მან არა ერთ-ხელ გამოიჩინა ეს ჩვენს — ახალგაზრდების — მიმართ.

1920 წლის შემოღომაზე მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ექსკურსია მუკუზანსა და წინანდალში. სტუდენტები აღტაცებით შევხდით მგზავრობას, რადგან ვიცოდით, რომ პროფესორი მრავალ საინტერესო ახსნა-განმარტებას მოგვცემდა. მართლაც, მიუხედავად მოხუცებულობისა, მან ჩვენთან ერთად დაიარა კველა სარდაფი და ვენახი,

გვისწილა ყოველი ვაჭის ჯიშის თავისებურებას, უპირატესობას და ჩვენი ქვეყნისაოვის გამოსაღე-გარობას. ჩვენი ექსკურსია მოეწყო სწორედ ალა-ცერდობის დროს და რადგან პროფ. პეტრე მელი-ქაშვილი საერთოდ მოგზაურობის დიდი მოყვა-რული იყო, უყვარდა ბუნება და ამასთან აინტე-რესებდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ზენ-ჩვეულებანი, მან ალაცერდის მონასტერში გამგზავრების წინადადება მოგვცა. სიმღერა, ცეკვა-თამაში, ჯირითი, თუშ-ფშავ-ხევ-სურთა ჩაცმულობა, — ყველაფერი ეს ძალიან ანტერესებდა მას და, დაღლილობის მიუხედა-ვად, გვიანობამდე არ მოისურვა დასვენება.

ბუნების სიყვარული უკანასკნელ დღეებამდე შერჩა პროფ. პეტრე მელიქიშვილს.

როგორც კი გამოზაფხულდებოდა, რომელიმე თანამშრომელთან ერთად ის ნელი ნაბიჯით მიღი-ოდა ბოტანიკური ბალისაკენ, ღრმად ისუთქავდა სუფთა ჰერბს, თითქოს ცდილობდა აენ ზღაურე-ბინა ის დანაკლისი, რომელიც მისმა ორგანიზმა მრავალი წლის განმავლობაში ღაბორატორიების დაზშულ ჰერბში მუშაობის დროს განიცადა.

ტებილი მოსაუბრე, მრავალ ადგილას ნამყოფი და ბევრის მნახველი, გასეირნების დროს იმდენ საინტერესო და საყურადღებო რამეს მოგითხობ-დათ, რომ ვერცეკი შეამჩნევდით, თუ როგორ გაივ-ლიდა დრო.

ღაბორატორიაში მუშაობის დროს სტუდენ-ტებს, ცოტა არ იყოს, გვეშინოდა, როდესაც პროფესორს კაბინეტიდან გამოსულს დავინახავ-დით. მაგრამ ვიცოდით, რომ თუ ვერ ვუპასუხებ-დათ მის კითხვებზე, მართალია, გაგვიწყრებოდა, მაგრამ ვრცელ და ნათელ განმარტებას მოგვცემ-და. თვით გამოცდაზედაც კი ხშირად, როცა სტუ-დენტი სათანადო პასუხს ვერ აძლევდა, ის უხსნი-და მას, რათა მომავლისათვის მაინც სცოდნოდა და გაადვილებოდა შეთვისება. თუ შეამჩნევდა, რომ რომელიმე სტუდენტი დაინტერესებული იყო მუშაობით, მაშინ მიუთითებდა მას სათანადო წყაროებს საჭირო მასალის გასაცნობად და არც თავის წიგნებს დაუკავებდა. სწორედ ასე მოიქცა ჩემს მიმართაც, როდესაც საღიბლომ შრომისათ-ვის თემის მისაღებად მივედი. ამის შემდეგ შე-სვედრისას უეჭველად მკითხავდა: გაუგებარი ხომ არაფერია, ან იქნებ ძნელია რამე?, ან კიდევ

ახალ წიგნებს მომცემდა და ასე იმ-დრომდე, სანამ სამუშაო მთლიანად დავამთავრე და გადავუცი.

დავამთავრე უნივერსიტეტი და პროფ. პეტრე მელიქიშვილმა თავის კათედრაზე დამტოვა ასის-ტეტად. ჩემთვის ეს დიდი სიხარული იყო, რად-გან ვიცოდი, რომ ყოველი საათი, მის ახლოს გა-ტარებული, მრავალს შემძენდა. არ ყოფილა თით-ქმის არც ერთი საკითხი არა მარტო ქიმიიდან, არამედ ბუნებისმეტყველების სხვა ღარგებიდა-ნაც, რომ მას არ შესძლებოდა გაშუქება. ამიტომ იყო, რომ მასთან ღაბორატორიაში მოდიოდნენ სხვადასხვა სპეციალისტები. ყველას ყურადღე-ბით მოექცეოდა, მოუსმენდა და სიამოვნებით უზიარებდა თავის ცოდნას.

იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც პროფ. პ. მელიქიშვილი თავის თავს უყენებდა შრომით აღსავსე მთელი თავისი ცხოვრების განმავლობა-ში, ის უყენებდა აგრეთვე თავის მოწაფეებს და თანამშრომლებს.

სტუდენტის ყოველი შეცდომა მას ჩვენს შეც-დომად მიაჩნდა, ხშირად განრისხდებოდა, მაგრამ ყოველი კარგად გაკეთებული საქმის შემჩნევა და დაფასებაც იცოდა.

დილით ვერავინ მოასწრებდა ღაბორატორიაში მისვლას და ხშირად თვითონ უღებდა კარგებს სა-მუშაოდ ადრე მოსულ სტუდენტებს. ღაბორატო-რია მისთვის ყველაფერი იყო და შასთან მომუშა-ვენი წარმოადგენდნენ ერთ ოჯახს, რომლის სკე-სეც და სიღუბჭირეც მას საკუთარ სიკეთედ და სიღუბჭირედ მიაჩნდა. ყოველ ახალ გამოკვლევას, ახალ შრომას, რომელსაც ის უურნალებში წაი-კითხავდა, გაგვიზიარებდა ჩვენ ყველას, გამო-სთქვამდა თავის აზრსა და ხშირად დაგვამუშავე-ბინებდა ამა თუ იმ საკითხს სხვადასხვა წყა-როების მიხედვით. ყოველი ლექციის წინ, მიუხე-ლავად ღრმა ცოდნისა, უეჭველად გადაათვალი-ერებდა წიგნებს და თავისი თანდასწრებით რამ-დენჯერმე გამაკეთებინებდა ცდებს, რომლებსაც ლექციაზე საღემონსტრაციოდ ვამზადებდი.

იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც გამსჭვალული იყო პროფ. პ. მელიქიშვილი მეცნიერებისაღმა, ყოველი თავისი მოქმედებით, ყოველი თავისი სიტყვით ის უნერგავდა ახალგაზრდობას, უღვი-ძებდა მათ მეცნიერების დაუფლების სურვილს, შთაგონებდა, რომ მეცნიერებით შეიარაღება ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობას.

ԱԵԱՀՈ ՍԱԱՀՅՈՅԾ ԹԱՍԱՀԵՑՈ
Յ. ՖԵՐՆԱՇՎԻԼԻՆ Ը Յ. ՄԵԼԻՔԻՇՎԻԼԻՆ ՄԵՍԱԿԵՑ

ԱՐԵՎԱՏ ՅՈՒՆԻՑԻ

ოდესის ხალქო არქივის უფროსის თანაშემწე

ოდესის საოლქო სახელმწიფო არქივში აღმოჩენილია გამოუქვეყნებელი დოკუმენტები ჩვენი სამშობლოს გამოჩენილ მეცნიერებზე ვ. მ. პეტრიაშვილზე (პეტრიევი) და პ. გ. მელიქიშვილზე (მელიქოვი), რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ ოდესის („ნოვოროსიის“) უნივერსიტეტში.

օմ ջրոս, հոպա մեցուս հշուետშո մեցնոյերთա
մէնքոյեթի ցամո՞ցոնձօլո հրայբառներեծո եղլս
ո՞լոնդնեց մ՛շօձօլուր մեցնոյերեծուս ցանցօտարյ-
ծաս, զ. թ. Ֆեթրուսմցոլո դա Յ. Զ. մելոյէմցոլո,
Շտացանեցնուլոն հրավոռուցուրո գրեմոյքարեծուս
ուղացեծու, ցածրութագ և լաջնեց մոժոնացը մարտ-
հրօալուստուրո մեսոցլմեցուրոնքուս դասապազճ.

„ნოვორბოსის საიმპერატორო უნივერსიტეტის“
(ასე ეწოდებოდა მაშინ ოფიციალურად ოდესის
უნივერსიტეტს) კედლებში პროფ. ვ. პეტრიაშვი-
ლი და პროფ. პ. მელიქიშვილი ბრძოლას აწარ-
მოებდნენ დასავლეთ ევროპის მეცნიერებისა და
კულტურის წინაშე მონური ქედმოხრის წინააღ-
მდეგ, იცავდნენ ჩვენს ქვეყანაში უცხოელებზე
ძევრად აღრე გაკეთებულ უმნიშვნელოვანეს აღ-
მოჩენებს.

ამას წინად ოდესის საოლქო არქივის უფროსმა
შეცნიერმა მუშაკებმა ჭ. მუხინამ და ე. შეიგოლმა
„ნოვოროსიის უნივერსიტეტის“ ფონდში აღმო-
აჩინეს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ
45 წლის წინათ — „პასუხად „სამპერატორო“ მეც-
ნიერებათა აკადემიაში მოკალათებულ უცხო-
ელებთან შებლოკებული მეფის ბიუროკრატ-რე-
აქციონერების ხრიცებისა, რაც გამოიხატა დიდი
რუსი მეცნიერის დ. ი. მენდელეევის კანდიდატუ-
რის უარყოფაში აკადემიის წევრად, და აგრეთვე
მცი დაბადების 70 წლისთავის აღნიშვნის მიზ-
ნით, ოდესის უნივერსიტეტის პროგრესული
პროფესორები ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი
და პ. პეტრენჯო-ქრისტიენჯო 1904 წლის 3 თებერ-
ვალს შუამდგომლობით შევიღნენ უნივერსიტე-
ტის საბჭოში და წინადადება წამოაყენეს, რომ
დ. ი. მენდელეევი უნივერსიტეტის საბჭოს საპა-
ტიო წევრად ყოფილიყო აჩჩეული. თავის მოხსე-
ნებითს ბარათში ისინი წერდნენ:

„განვლილი საუკუნის მეორე ნახევრის
დასაწყისში მრავალმა ქიმიკოსმა (დიუმაზ,
პეტენკოფერმა, გმელინმა, გლედსტონმა)
უცნაური თანაფარდობა შენიშნა ელემენტ-
თა ატომური წონების სიღილეებს შორის.
მაგრამ ამ დარგის ყველა მკვლევარი ფაქტ-
თა ლაბირინტში ხეტიალობდა, რადგან გზის
მაჩვენებელი ძაფი არ მოეპოვებოდა. მენ-
ტელევეგმა ყურადღება მიაქცია არამსგავსი
ელემენტების ატომური წონების თანაფარ-
დობას და პირველმა აღმოაჩინა მწყობრი
კანონზომერება ელემენტთა აკისხება

B. PAM 3 A N

ВВЕДЕНИЕ ВЪ ИЗУЧЕНИЕ

ФИЗИЧЕСКОЙ ХИМИИ

Переводъ подъ ред. проф. П. МЕЛИНОВА.

Одесса 1910



ଓଡ଼ୁଶାରୀ କ. ମେଲିଙ୍ଗିଟ୍ଟୋଲିସ ହେଦାଯ୍ତ୍ତୋରିଟ ଗାମନଫ୍ରେମ୍ୱାଣି ପିଗନ
ଶ. ରାମଚାରି— „ଫିନିକ୍ୟୁରି କ୍ଲିନିକ୍ସ ଶ୍ରେଷ୍ଠାଙ୍କ୍ଳିନିକ୍ସ ଶ୍ରେଷ୍ଠାଙ୍କ୍ଳିନିକ୍ସ“.

შეცვლაში ატომური წონის ზრდის შესაბა-
მისად.

მენდელევი ელემენტთა ესოდენ ნაყო-
ფიერი პერიოდული სისტემის ერთად-ერთი
შემოქმედია, ვინაიდან მარტოვდენ მან გან-
ჭვრიტა გაბედულად და ნათლად მთელი
თავისი მნიშვნელობით პერიოდული კანონი
იმ დროს, როცა ზოგიერთი მისი თანამედ-

როვენი (შანკიურტუა, ნიულენდისი, ლო-
თარ მაიერი) გაუბედავად შესცემოდნენ
მას, რადგან არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი
კანონის აღმოჩენის იმედი. ლოთარ მაიერი,
მაგალითად, პერიოდული სისტემის შესახებ
წერდა: „... მეტად ნაუციათევი იქნებოდა
დადგრილი ატომური წონების შეცვლა
ესოდენ არამკიდრი გამოსავალი პუნქტის
საფუძველზეო...“

ამჟამად ელემენტთა პერიოდული სისტე-
მა ერთ-ერთ უვრცელეს განზოგადებას წარ-
მოადგენს ქიმიაში. მენდელევის სისტემას
რღვევა არ განუცდია აირადი ნივთიერე-
ბების დარგში უკანასკნელი აღმოჩე-
ნების მშვითვარე ნიაღვარში, და ავტო-
რის მსოფლიო სახელი არა თუ არ ქრება,
არამედ სულ უფრო და უფრო კაშაშად
ჩაღდება. ამ ფხიზელი და გაბედული მოაზ-
როვნის, რუსეთის მეცნიერების ამ სიამაყის
ცხოვრების 70 წლისთავშე პატივი გვაქვს
წინადადება მივსცეთ უნივერსიტეტის საბ-
ჭოს თავისი საპატიო წევრების სია დაამშვე-
ნოს დიმიტრი ივანეს-ძე მენდელევის სახე-
ლით“.

მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტები მო-
გვითხრობენ, თუ როგორ დადგნენ პროფ. ვ. პეტ-
რიაშვილი და პროფ. ვ. მელიქიშვილი რევოლუ-
ციური ხალხის მხარეზე რუსეთის პირველი რევო-
ლუციის (1905—1907) წლებში. მიუხედავად იმი-
სა, რომ შორს იყვნენ პროლეტარულ-რევოლუცი-
ური მსოფლმხედველობისაგან, ისინი აღფრთოვა-
ნებით მიესალმნენ რუსეთის პირველ რევოლუ-
ციის. 1905 წ. სექტემბერში პროფ. ვ. პეტრიაშვი-
ლი არჩეულ იქნა ფიზიკურ-მათემატიკურ
ფაკულტეტის დეკანად. 1905 წლის ოქტომბრის
დღეებში პროფ. პეტრიაშვილი და პროფ. მელიქი-
შვილი სხვა პროგრესულ პროფესორებთან ერ-
თად ხელს უწყობდნენ უნივერსიტეტის აუდიტო-
რიების გამოყენებას მშრომელთა მასობრივი მი-
ტინგებისათვის, ხელს უწყობდნენ მოწინავე სტუ-
დენტობას მღელვარე რევოლუციურ ამბებში მო-
ნაწილეობის მიღებაში, სასტიკად ილაშქრებდნენ
რეფის თვითმპყრობელობისა და მის ადგილობრივ
ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ.

3. მელიქიშვილის საფლავი და ძეგლი სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.



დიდი სტალინული თანამდებობი

ი. ბ. სტალინის მიერ პრეზიდენტი რეინიგზის მუშავთა მიღებისას ჭარბოთშაული
სიტყვის 15 წლისთავი

იორებ მარიამ ვასილის ძე

აშენერკავკასიის რეინიგზის მთავარი ინფორმაცია

სამუდამოო შევიდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 1935 წლის 30 ივნისი, როდესაც კრემლში რკინიგზელთა მიღებაზე ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა წარმოსთქვა თავისი ისტორიული სიტყვა.

როგორც მძლავრმა პროცესტორმა, ისე გააშუქა ჩვენი დიდი ბელადის ამ სიტყვამ სოციალისტურ სახელმწიფოსათვის რკინიგზების გადამწყვეტი შეიმუშავებობა და მათი როლი, რკინიგზის მუშავთა შემდგომი ამოცანები.

მას შემდეგ განვლო 15 წელმა, მაგრამ ბელადის სიტყვა დღესაც აღაფრთოვანებს რკინიგზელებს ახალი დიდი საქმეებისათვის, რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის. უზრუნველსაყოფად თავდადებული მუშაობისათვის.

დიღია და მრავალფეროვანი საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტის ისტორია. მუდამ დაუვიწყარი იქნება მთელი საბჭოთა ხალხისათვის პირველი შებათობანი რკინიგზის ტრანსპორტზე, რომლებშეაც ვ. ი. ლენინი კომუნიზმის საწყისებს ხედავდა. გმირული სულისკვეთებით იყო აღსავსე რკინიგზელთა კოლექტივი, როდესაც სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში ის დანგრეული და განადგურებული ტრანსპორტის აღდგენაზე მუშაობდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი და შესანიშნავი იყო შემდგომ წლებში სატრანსპორტო მეურნეობის რეკონსტრუქცია, მისი გადახალისება.

მაგრამ ყველაზე უფრო ნათელი და შესანიშნავი მოვლენა საბჭოთა რკინიგზელების ცხოვრებაზი არის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ რკინიგზის მუშავთა მიღება კრემლში.

თავის სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა მაშინ სიტყვა: „საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, წარმოუდგენელი იქნებოდა გარეშე პირველსარისხოვანი სარკინიგზო ტრანსპორტისა, რომე-

ლიც ერთ მთლიან ერთეულად აკავშირებს მის მრავალრიცხოვან ოლქებსა და რაიონებს. ამაშია რკინიგზის ტრანსპორტის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში“.

პარტიის, ხელისუფლებისა და პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ჩვენი რკინიგზები განუწყვეტლივ ღებულობრივ და ღებულობენ ახალ, სრულყოფილ ტექნიკას. ათასობით მძლავრი ლოკომოტივი, ასიათასობით ახალი ვაგონი, მრავალი ათასი კილომეტრი ახალი ლიანდაგი, ავტომატური მუხრუჭები და ავტომატური გადაბმა, ავტომატური ბლოკირება, ელექტრული ცენტრალიზაცია და სხვა მრავალი ტექნიკური საშუალება, რისი მოცემაც კი შეუძლია ჩვენი სამშობლოს მძლავრად განვითარებულ სოციალისტურ ინდუსტრიას, უხევად ეძლეოდა რკინიგზის ტრანსპორტს მისი ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად და ახალი ტექნიკით შესაირალებლად.

შესამჩნევად გამოიცვალნენ თვით რკინიგზელებიც. დიდი სტალინის სიტყვებით აღურთოვანებულნი, იმის ღრმა შეგნებით, რომ სამშობლო მათ შრომას დიდათ აფასებს, საბჭოთა რკინიგზელები ღრმად ანვითარებენ საწარმოო ინიციატივას და მოწინავე მეთოდების ფართოდ გამოყენებით განუწყვეტლივ აღიდებენ შრომის წარმადობას, მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეს, ამცირებენ ვაგონებისა და ლოკომოტივების ბრუნვის დროს, აჩქარებენ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას.

ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის, საბჭოთა მთავრობის ზრუნვამ რკინიგზის ტრანსპორტზე თავისი შედეგი გამოიღო, დიდი სამამულო ომის მეტად მძიმე პირობებში საბჭოთა რკინიგზელებს შეუფერხებლად გადაჰქონდათ ფრონტი.

ზე საომარი ტექნიკა, სამხედრო საჭურველი, სურათ-სანოვაგე, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სჭედდენ ისინი მტერზე გამარჯვებას. უჩვეულო და მეტად დიდი დატვირთვა ხვდა წილად ომის პერიოდში ჩვენს ტრანსპორტს, მაგრამ საბჭოთა რკინიგზელებმა, აღზრდილებმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ, გამსჭვალულებმა საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძნობით, წარმატებით გადასჭრეს მათ წინაშე დასმული ამოცანები და პირნათლად შეასრულეს ყველა დავალება.

დღეს, ომის შემდგომ პერიოდში, ჩვენს წინაშე იშლება მეოთხე სტალინური ხუთწლედის ახალი აღმავლობისა და განვითარების თვალწარმტაცი სურათი.

ზღაპრული სისწრაფით მიღის წინ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. ბევრი რამე გაკეთდა და კეთდება რკინიგზის ტრანსპორტზე. მაგრამ რკინიგზელებისათვის წაყენებული მოთხოვნილებებიც ცლითი დღე მატულობს. ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მთლიანად შეასრულებლად ტრანსპორტზე ყველაფერი მოიპოვება: სტალინური მზრუნველობით აღზრდილი და გამოწრობილი კაღრები, პირველხარისხოვანი ტექნიკა და მრავალი შინაგანი რეზერვები. ამ რეზერვების უნარიანი და ბოლშევიკური გამოყენება, ტექნოლოგიის გაუმჯობესება, მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვა და გამოყენება, შრომის დისციპლინის განვითარება, — აი მთავარი და ძირითადი პირობები ახალი წარმატებების მისაღწვევად.

დიდი ლენინი საბჭოთა ხალხს მუდამ ასწავლიდა, რომ ზეიმის დღეებში, გავლილი მუშაობის შექამების დროს, საჭიროა ყურადღების გამახვილება სიძნელეებშე და გადაუწყვეტელ ამოცანებზე. საბჭოთა რკინიგზელები კანონიერი სიამაყით აცლებენ თვალს გავლილ გზას, მაგრამ ამ სიამაყეს არაფერი აქვს საერთო წარმატებებისაგან თავბრუდაცვევასა და თვითმაყოფილებასთან. ისინი ნათლად გრძნობენ, თუ რა პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს მათ წინაშე კომუნიზმის ძლევამოსილი გზენებლობა ჩვენს ქვეყანაში და ყველა ღონის ხმარობენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხრებლად, ჩვენი ტრანსპორტის შემდგომი მდლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ასე თავდადებით მუშაობს ამიერკავკასიის რკინი-

გზელთა კოლექტივიც, რომელიც საქართველოს საყვარელმა შვილმა დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ დიად ბოლშევიკურ ტრადიციებზე აღზარდა.

ისე, როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკები, არც ხული ტემპებით ვითარდებოდა და წინ მიღის სახალხო მეურნეობა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებში და კრასნოდარის მხარის სამხრეთ რაიონებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს ამიერკავკასიის რკინიგზა.

ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ახალი მაღაროები, ჭიათურის მძლავრი საბალოები დღითი დღე აღიდებენ ნახშირისა და მარგანეცის ამოღებას. ამ უმნიშვნელოვანეს ტვირთების გადაზიდვაში ჩვენმა გზამ უკვე გადააჭარბა ომის წინაღრინდელ დონეს. უკვე იწყება რკინიგზებზე ჩვენი მეტალურგიის გიგანტის — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ტვირთების ზიდვა. დღითი დღე იზრდება მშენებლობის ტემპები წვენს სახალხო მეურნეობაში და ეს ყოველდღიურად აღიდებს გადასაზიდი სამშენებლო მასალების რაოდენობას. ფართოვდება და იზრდება სათესი ფართობები ჩვენს სოფლის მეურნეობაში, კიტრუსების, ჩაის, თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების პროდუქცია. ყველაფერი ეს ახალ და ახალ მოთხოვნილებებს უყენებს რკინიგზებს, აღიდებს ტვირთბრუნვას.

ყველა ჩვენი რკინიგზელის მიზანი და ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეუფერხებლივ და მთლიანად უზრუნველჰყოს ჩვენი რესპუბლიკების მზარდი მოთხოვნილება, მთლიანად მიზიდოს დაწინულების აღგილზე გადასატანი ტვირთები, გადაიყვანოს მილიონობით მგზავრი.

ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის დაწყებიდან ამიერკავკასიის რკინიგზაზე ძალიან ბევრი და დიდი სამუშაოები შესრულდა მისი ტექნიკური ბაზის გადასახალისებლად და გასაძლიერებლად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არასოდეს ახალ მშენებლობას და ახალი თანამედროვე ტექნიკის დაწერებებს ამიერკავკასიის რკინიგზაზე არ ჰქონებია ისეთი ფართო ხასიათი, როგორიც მცს ამჟამად აქვს.

უკანასკნელი წლების მანძილზე გატარდა მთელი რიგი ძირითადი უბნების ელექტროფიციაცია და ახალი ტიპის მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ასე თავდადებით მუშაობს ამიერკავკასიის რკინი-

დაიწყეს. ამჟამად შიძინარეობს ელექტროფიკა-ცა ახალი უბნებისა, რომელთა საერთო სიგრძე 215 კილომეტრს აღემატება.

მატარებელთა მოძრაობის უშიშროების უზრუნ-ველყოფის უახლესი ტექნიკური მიღწევები — ავ-ტომატური ბლოკირება და ავტომატური გამჩე-რებლები ჩვენს გზაზე ფართო გამოყენებას პოუ-ლობენ.

მიმდინარეობს დიდი სამუშაოები სადგურებზე ისრების ელექტრული ცენტრალიზაციის მო-საწყობად, სამანევრო ორთქლმავლებზე ეწყობა რადიოკავშირი, რაც ხელს უწყობს და აავილებს დისპეტჩერებისა და შემდგენელთა ბრიგადების მუშაობას და სხვ.

დიდი მუშაობაა გაშლილი შავი ზღვის სანაპი-რო რკინიგზის მშენებლობის დასამთავრებლად, შენდება ახალი ლამაზი ვაგზლები, შესანიშნავი საინჟინრო ნაგებობანი, სრულდება მთელი რიგი სხვა სამუშაოები.

ელექტროფიკირებული უბნების ელექტრო-ენერგიით უზრუნველსაყოფად დაწყებულია სპე-ციალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლო-ბა. იგი მოლიანად უზრუნველყოფს ჩვენი რკი-ნიგზების მოთხოვნილებას.

ფართოდ გაშალა საბინაო და კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა, რაც შესამჩნევად გააუმჯობესებს რკინიგზელთა საყოფაცხოვრებო პრერობებს და ერთხელ კიდევ ნათელყოფს პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიურ ზრუნვას რკინიგზელებზე.

ამიერკავკასიის რკინიგზელთა კოლექტივი ჩვენი სახელმწიფოს ამ ყოველდღიურ მზრუნველო-ბაზე უპასუხებს სტახანოვური მოძრაობის ფარ-თოდ გაშლით და ახალი შრომითი აღმავლობით.

ჩვენი გზის სინამდვილეში დიდი გაქანება ჰქო-გა და უკანასკნელ ხანებში კარგ შედეგებს მიაღ-წია მოწინავე მემანქანეთა — ხუთასოვნთა მო-ძრაობამ. ამ დიდმნიშვნელოვანი მოძრაობის მო-ნაწილენი თავიანთი ლოკომოტივების სადღელამი-სო გარენის ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარ-ბებით ასრულებენ და სახელმწიფოს დიდ ეკონო-მისა აძლევენ. ჩვენი გზის მოწინავე მემანქანეები ვასილ ისახე, აკადი ლომსახე, ვლადიმერ ავალია-ნი, დავით ჭაბაძე და სხვები სტახანოვური და ლუნინური შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძ-ლევიან. თბილისის ელექტროდეპოს მემანქანე ისახემ თავისი ელმავალით ორ საშუალო შეკეთე-

ბათა შორის ნორმით გათვალისწინებული 300,000 კილომეტრის ნაცვლად 400,000 კილომეტრია გა-იარა და სახელმწიფოს 15 ათასი მანეთი ეკონომია მისცა. მემანქანე ისახე ამით ას დაკმაყოფილე-ბულა — მან იყისრა კიდევ უფრო მაღალი ვალ-დებულება: ორთქლმავლის შეუკეთებლად გაირ-ბინოს 450,000 კმ. ამხ. ისახე აგრეთვე მძიმეწო-ნიანი მატარებლების ტარების ერთ-ერთი ინიცია-ტორთაგანია. 1949 წელს მან 990 მძიმეწონიანი მატარებელი გაატარა და გეგმის ზევით 280 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდა.

წარმოების ერთ-ერთ მოწინავე ნოვატორს წარ-მოადგენს თბილისის საორთქლმავლო დეპოს სა-გამრეცხო საამჭროს უფროსი ამხ. შ. ა. ხიზანა-შვილი, რომელმაც ჯერ კიდევ 1947 წელს შეი-მუშავა ორთქლმავლის შეკეთების ტექნოლოგი-ური პროცესის ახალი ჩქაროსნული გრაფიკი. დე-პოში მომუშავე ინჟინერების ამხ. პ. ტ. კაციტაძის, გ. ი. წერეთლისა და სხვების დახმარებით მან პრაქტიკულად განახორციელა თავისი ინიციატივა და ორთქლმავლი აწევითი შექეთებიდან ვალაზე ბევრად ადრე გამოუშვა. ამხ. შ. ხიზანაშვილის მე-თოდმა ფართო გავრცელება ჰპოვა სხვა დეპოებ-შიაც.

თბილისის მატარებელთა გამყოლების ინიცია-ტივით დაიწყო მოძრაობა მატარებლების შემაღ-ენლობის დეპოში შეუკეთებლად 100,000 კილო-ტრის გარენისათვის. ამ მოძრაობამ დიდი გა-მოხმაურება და გავრცელება ჰპოვა მთელი საბჭო-თა კავშირის რკინიგზებზე. თბილისელ გამყოლთა მუშაობის ეს შესანიშნავი მეთოდი დიდ სარგებ-ლობასა და ეკონომისა აძლევს ჩვენს სახელმწი-ფოს.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე სხვა მრავალი ასე-ული მოწინავე სტახანოველი და ლუნინელი მუ-შაობს. ასეთებია მატარებელთა შემდგენლები ა. ი. კაცაძე, რუხაძე, ა. მ. პრიხოდჩენკო, შემდუ-ლებელი ვ. გ. პატარქალაშვილი, მთავარი კონ-დუქტორები — დ. შ. შანიძე და ბაკურაძე, ლიან-დაგის სტატი ბარბაქაძე, მატარებლის სტატი ბიქაძე, დისპეტჩერი ე. პ. თხელიძე და სხვები, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი გა-მარჯვების საფუძლებს ქმნიან.

რკინიგზაზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსთა პერ-სონალი გზის მთელ კოლექტივთან ერთად დიდ და ნაყოფიერ შრომას ეწევა ახალი ტექნიკის ასათვი-

სეტლად და მოწინავე შრომის მეთოდების დასა-
ნერგავად. წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდა ინ-
ჟინრები — ამხ. ი. ი. ზერეკიძე, კაციტაძე, მ. ა.
ავაქოვი, სადგურის უფროსები — ინუინრები ბ. ე.
ჭყალიძე, ი. ი. იოსელიანი, ს. ვ. კელენჯირიძე, სა-
ლიანდაგო დისტანციის უფროსები — ვ. ს. გო-
გიჩაიშვილი, ვ. კ. ნაგორნი, დეპოების უფროსე-
ბი — ვ. ზ. თოიძე, გ. წერეთელი, ვ. ტ. ჭიქურაშვი-
ლი და სხვები თანამედროვე საინუინრო ტექნიკის
საფუძვლებზე აგებულ ტექნოლოგიურ დისკი-
ლინას ნერგავენ საწარმოებში და გზაზე.

ახალ მოწინავე ტექნიკას დაუფლებული ასო-
ბრთ ინუინრი რაციონალიზატორული წინადადე-
ბებით აუმჯობესებს და ანვითარებს არსებულ
ტექნიკურ საშუალებებს და წარმოების პროცე-
სებს. ინუინრებმა შ. ს. ლოგუამ და ვ. ვ. მელნიკოვ-
მა გამოიგონეს და დააპროექტეს ორიგი-
ნალური კონსტრუქციის ავტომატური კონტრაქ-
ტორული ბუღრუუგანა რკინიგზის ელექტროფიცი-
რებული უბნებისათვის. ამ გამოგონებამ დიდი
ეფექტი მოგვცა და გზათა სამინისტროს მიერ მი-
ღებულია მთელ საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე
გასავრცელებლად.

ინუინრმა ი. ლ. ქველიძემ, რომელიც ქუთაისის
საელმავლო დეპოს უფროსად მუშაობს, თავისი
რაციონალიზატორული ღონისძიებებით შესამჩნე-
ვად გააუმჯობესა რთული პროფილის მქონე ტყი-
ბულის შტოზე მატარებლების მოძრაობის პირო-
ბები.


თბილისის რკინიგზის ინუინრთა ინსტიტუტის
დოკუმენტმა ამხ. ვაშაკიძემ შეიმუშავა ნახშირზე
მომუშავე ღუმელების ახალი კონსტრუქცია. სა-
წარმოებში მომუშავე ინუინრების გვიჩისა, კაცი-
ტაძის, წივწივაძის და სხვების უშუალო მონაწილეობით
ღუმელი აგებულია და ამჟამად მისი გა-
რიცვა მიმდინარეობს. პირველი შედეგები ფრიად
დამაკმაყოფილებელია. ბევრი სხვა რკინიგზელი

მუშა, ინუინრი და ტექნიკოსი თავდადებული
შრომით, ნოვატორული წინადადებით და ტექნი-
ლოგიური დისკიპლინის განმტკიცებით ცდა-
ლობს უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს ჩვენი
სარკინიგზო ტრანსპორტის მეურნეობა და ხელი
შეუწყოს მას დასახული ამოცანების შესრულე-
ბაში.

ამიერკავკასიის რკინიგზელთა მრავალათასიანი
კოლექტივი ბოლშევიკური ენერგიითა და თავდა-
დებით იბრძვის ომის შემდგომი სტალინური ხუთ-
წლების წარმატებით დასამთავრებლად. საკმაოდ
ბევრია უკვე გაექცებული, მაგრამ მუშაობაში ჭერ-
ებდევ მრავალი ნაკლი მოგვეპოვება. ერთ-ერთი
უმთავრესი ამოცანა — ვაგონების მოცდენის შემ-
ცირება და მათი ბრუნვის ღამეარება. რადაც არ
უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა ამ ამოცანის წარმატე-
ბით გადაჭრა და მოძრავი შემაღებენლობის გამო-
ყენების მქეობრად გაუმჯობესება.

რკინიგზელთა მიღებაზე კრემლში, 15 წლის წი-
ნად, ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა კლასიკური სიზუს-
ტით განსაზღვრა ტრანსპორტზე დისკიპლინის
მნიშვნელობა: „ეს არის ტრანსპორტის მექანიზ-
მის ყველა ნაწილების შეთანხმებული და ზუსტი
მუშაობა, ვინაიდან ტრანსპორტი წარმადგენს
კონვეიერს, სადაც ერთნაირად მნიშვნელოვანია
ყველა ნაწილისა და ყველა ხრახნის სწორი მუშა-
ობა“.

თავიანთი ზეიმის დღეს მთელი საბჭოთა კავში-
რის რკინიგზელები და, მათ რიცხვში, ამიერკავკა-
სის რკინიგზელებიც ერთხელ კიდევ შეამოწმე-
ბენ თავიანთი მუშაობის დადებით და უარყოფით
მხარეებს, ყველა ზომას მიიღებენ არსებულ ნაკ-
ლოვანებათა აღმოსაფეხრელად და ყველაფერს
გააკეთებენ იმისათვის, რომ შეასრულონ ზედლა
მითითება, რაც კი მათ დიღმა ბელადმა — რკინი-
გზელთა საუკეთესო მეგობარება ბრძენმა სტალინმა
მისცა.



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი—საბჭოთა ავიაციის შემქმნელი

ესპაზი გაგანაშვილი

ავიაციის ხელშემწყობი წებაყოფლობით საზოგადოების საქართველოს კომიტეტის თაგმჯდომარე

დღეს საბჭოთა კავშირი უძლიერესი საავიაციო
ქვეყანაა.

ჩვენი მძლავრი ავიაცია, რომლითაც სამართლია-
ნად ამაყობს საბჭოთა ხალხი, და რომელიც გან-
ცვიფრებას აწვევს მსოფლიოში თავისი ტექნიკუ-
რი თვისებებით და წარმატებებით, შექმნილია იმ
ულიდესი მზრუნველობის შედეგად, რომელსაც
ლენინი და სტალინი დიდი ოქტომბრის სოცია-
ლისტური რევოლუციის პირველ დღეებიდანვე
იჩენდნენ საბჭოთა საპარო ძალების შექმნისად-
მი, იმ შეუნელებელი ყურადღების შედეგად, რა-
საც ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბჭო-

თა ავიაციის განვითარების საკითხებს დიდი
სტალინი უთმობდა.

სამოქალაქო ომის დაწყების დროისათვის საბ-
ჭოთა რესპუბლიკაში, მართალია, 62 ავიარაზმი
ითვლებოდა, მაგრამ პირადი შემაღებელობისა და
თვითმფრინავების მხრივ ამ რაზმების შდგომარე-
ობა ისეთი იყო, რომ ფრონტზე ფაქტიურად არა-
ფრი იყო გასაგზავნი. 1918 წლამდე არსებული 12
საავიაციო სკოლიდან საბჭოთა ავიაციას ფაქტიუ-
რად მხოლოდ მოსკოვის სკოლა შერჩა.


ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ მიღებუ-
ლი ენერგიული ღონისძიებების მეოხებით, მუშა-
თა კლასისა და, პირველ რიგში,
საავიაციო მრეწველობის (ფაქტი-
ურად—არა ქარენების, არამედ
დიდი სახელოსნოების) მუშების
თავდაცების წყალობით სამოქა-
ლაქო ომის უკვე პირველ პერი-
ოდში ავიარაზმები ითვლიდნენ
უაღრესად ნაირგვარი კონსტრუქ-
ციის 300-მდე თვითმფრინავს და
რეზერვში იყო თითქმის ამის ნა-
ხევარი.

უდიდესი როლი ითამაშა საბ-
ჭოთა ავიაციამ ცარიცინის დაკა-
ში, რასაც ი. ბ. სტალინი ხელ-
მძღვანელობდა.

1918 წ. 6 ივნისს ი. ბ. სტალინი
ჩავიდა ცარიცინში და დაუყოვნე-
ბლივ შეუდგა წესრიგის დამყარე-
ბას ქალაქის დაცვის სისტემაში.
ცარიცინის დაცვისათვის მიღებულ
ღონისძიებათა შორის თვალსაჩინო
როლი ჰქონდა დათმობილი ავი-
აციას.

1918 წ. 10 ივლისს ი. ბ. სტალინი
სწერდა ლენინს:

„თუ არ მოგვეცით იეროპლანე-
ბი მფრინავებით, ჯავშნიანი აეტო-
მობილები, ექვსდუიმიანი ქვემეხე-
ბი, ცარიცინის ფრონტი ვერ გას-
ძლებს, და რკინიგზას დიდი ხნით
დავკარგავთ“.



საავიაციო პარადი ტუშინოს აეროდრომზე.

ვ. ი. ლენინის სპეციალური განკარგულებით შედგენილ იქნა და სასწრაფო შესით გაიგზავნა ცარიცინში ავიარაზმი რვა თვითმფრინავის შემადგენლობით.

მაგრამ ი. ბ. სტალინი არა მარტო საავიაციო რაზმების შექმნაზე და აღკაზმვაზე ზრუნავდა, არამედ იმაზეც, რომ წითელარმიელები გასცნობოდნენ ავიაციასთან შეთანხმებულად მოქმედების წესებს, პირადად გარკვეულ ამოცანებს აყენებდა ავიაციის წინაშე, ღებულობდა მფრინავებს, ზრუნავდა მათს ჯანმრთელობაზე. ცარიცინის ავიარაზმებში პირველად იქნა შემოლებული ავიარაზმის ექიმის თანამდებობა (მეფის არმიის ავიარაზმებში ასეთი თანამდებობა არ იყო). ამხანავ სტალინის მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის მეობებით ცარიცინის ავიარაზმა პირველი ადგილი დაიკავა წითელი ავიაციის სხვა ნაწილებს შორის.

მთელი რიგი დოკუმენტები მოწმობენ, თუ როგორ ზრუნავდა ვ. ი. ლენინი ავიარაზმების შექმნაზე, თუ როგორ იყო ის დაინტერესებული ავიაციისათვის ადამიანთა შერჩევით, რეკომენდაციას უკეთებდა მისთვის ცრობილ ავიატორებს და სხვ. ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ავიაციის გამოყენებას თეთრების ზურგში საგიტაციო ლიტერატურის გადმოსაყრელად. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა აგრეთვე, რომ საჭიროა თვითმფრინავების გამოყენება თეთრგვარდიელთა ზურგში მოქმედ აჯანყებულებთან კავშირის დასამყარებლად. მაგალითად, 1919 წლის 18 ივნისს კოლხაკის ჯარების ზურგში აჯანყებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი ტელეგრაფით ეკითხებოდა აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს: „...რა ზომებს იღებთ? გზავნით თუ არა მათთან თვითმფრინავებს? თუ ავიანარევი არა გაქვთ, ალბათ, განსაკუთრებული ზეგავლენის მოხდენით მოხერხდება შოვნა. მიღეპეშეთ დაწვრილებით. ლენინი“.

საინტერესო ავიანარევის მოხსენიება ვ. ი. ლენინის დეპეშაში. ბენზინი მაშინ თითქმის არ იშვევბოდა და ხმარობდნენ სხვადასხვა სუროგატებს: ბენზოლს, ტოლუოლს, აცეტონს, ე. წ. „ყაზანის ნარევს“. თვითმფრინავების საშვავის შოვნა და გამონახვა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შეუნელებელი ყურადღების საგანს შედგენდა.

1919 წლის მეორე ნახევარს ეხება საინტერესო დოკუმენტი ავიაციაზე ლენინური ხელმძღვანელობის შესახებ.

1919 წ. 7 აგვისტოს თეთრგვარდიელ გენერალ მამონტოვის ცენტრალური ავიაციაზე ლენინური ხელმძღვანელობის შესახებ.

შემოტევასთან დაკავშირებით, სერიოზული საფრთხე შეუქმნა წითელ არმიას.

ვ. ი. ლენინი აუცილებლად თვლიდა მამონტოვის ჯარების სასწრაფოდ მოსპობას, პირადად ადგენებდა თვალს გარღვევის ლიკვიდაციისათვის მიღებული ლონისძიებების განხორციელებას და ფიქრობდა დამატებით ზომებზე ამ ამოცანის სასწრაფოდ შესასრულებლად, კერძო, ავიაციის გამოყენებაზე ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ.

ამის შედეგად ის ბარათს სწერს რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს მუშავებს:

„1919 წლის 4 სექტემბერი. (მოსკოვი).

ცხენოსანი ჯარი თვითმფრინავის დაბლა ფრენის დროს უძლურია მის წინააღმდეგ.

... ხომ არ შეგიძლიათ ს წ ა ვ ლ უ ლ სამხედროს x, y, z დაუკვეთოთ პასუხი: (სასწრაფოდ) თვითმფრინავები ცხენოსანი ჯარის წინააღმდეგ მავალითები. ფრენა სულ დაბლა. მავალითები. რათა შეიძლებოდეს ინსტრუქციის მიცემა „მეცნიერების“ საფუძველზე. ლენინი“.

ცნობილია, რომ ეს ხერხი, ზოგიერთი „სწავლული სპეციალისტის“ აშკარა სკეპტიციზმის მიუხედავად, წარმატებით იქნა გამოყენებული და საბჭოთა თვითმფრინავებმა თავიანთი გაბედული მოქმედებით ხელი შეუწყეს ს. მ. ბუდიონის ცხენოსან ჯარს მამონტოვის ცხენოსანი კორპუსის განადგურებაში.

ამხანავ ი. ბ. სტალინს ეკუთვნის ავიაციის მასიურებლი დარტყმების ორგანიზაციისა და განხორციელების იდეა.

ეს იდეა წარმატებით იქნა განხორციელებული ჯერ კიდევ 1919 წ., როცა აძანავი ი. ბ. სტალინი, ვ. ი. ლენინის დავალებით, პეტროგრადის ფრონტზე გაიგზავნა იუდენისტის შეტევით იქ შექმნილი საფრთხის ლიკვიდაციისათვის. აქ ი. ბ. სტალინის წინააღმდებით განხორციელებულ იქნა იმ დროისათვის არაჩევულებრივი გაერთიანება სახმელეთო და საზღვაო ავიაციისა, რამაც საგრძნობად გააძლიერა საბჭოთა ავიაციის ბრძოლისუნარიანობა. ავიაციის ცალკე რაზმების ერთ მძღვრ „მუშტალ“ გაერთიანება ასევე ნაყოფიერი და მიზანშეწონილი აღმოჩნდა თეთრპოლონელებთან ბრძოლის პერიოდში.

1920 წლის დამლევს ეკუთვნის უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ ავიაციასთან: 1) ამხანავ სტალინის ბარათი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რესპუბლიკის საბრძოლო რეზერვების შექმნის შესახებ და 2) განცხადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს იმავე საკითხზე.

ბარათის მერვე მუხლი მოითხოვდა: „ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ ავიამრეწველობა“.

ვე შრომის შენიშვნილებამ ასახვა პპოვა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებაში, რომელსაც ვ. ი. ლენინი აწერდა ხელს.

კავახეთის ექსპედიცია დაკავშირებულია ინსტიტუტის თემატიკასთან — (კავახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომ-გეოგრაფიული დაბასითათვება). საქართველოს ეს მხარე, ისე როგორც ზოგიერთი სხვა. ფიზიკური გეოგრაფიისა და ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით სუსტადაა შესწავლილი, ამიტომ ინსტიტუტმა მიზნად დასახახის პირველი კავახეთში ექსპედიციური კვლევა-მიება ჩატაროს ასეთ რაიონებში.

კავახეთის კომპლექსური ექსპედიცია თრი ჯგუფისაგან შესდგება: ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომ-გეოგრაფიული სახარების ბუნების თავისებურებათა გამოყლინების მიზნით, სახელმისის შესახვალით იქნება მისი ზედაპირის თანამედროვე სახე წარმომქმნები პირობებთან დაკავშირებით, კლიმატურ-ინორმატიკური პროცესები, წყლის რეჟიმი, ნიადაგები და სხვა.

ეკონომ-გეოგრაფიული ჯგუფის მუშაობა მიზნად ისახავს შემდეგი საკონხებას შესწავლას: ამ მხარის მოსახლეობის შემაგრებლობა, ჩასახლება და განსახლება, მიწის ფონდები, სოფლის მეურნეობა, სარაიონო ეკონომიკური კავშირი, რაონული ცენტრები და სხვ.

ამ ექსპედიციის დროს ადგილებზე მონადება აგრეთვე რუკების დაზუსტება.

მეორე ექსპედიცია იმუშავებს მდ. ცხენის-წყალისა და რიონის აუზებში. ექსპედიციის მიზანის შეაღენს ინიშნულ ტერიტორიაზე მდინარეების რეესიმის შესწავლა, კერძოდ შესწავლით იქნება ზარის ამონება და კულტურული მომაცევის აქტივურობის გადასახვა.

მესამე ექსპედიცია იმუშავებს ბზიფის ქედის მიღმინდება, მისი კარსტული რაიონების მორფოლოგიური განვითარების შესახვა.

მთასვლელი და მისი ტექნიკა

ეს გვით უასებადა

მთასვლელობას, როგორც მთის სიძნელეთა გა-
ლაპახებას, დიდი ხნის წარსულა აქვს. მისი ფესვე-
ბი სამეურნეულ ცხოვრების მოთხოვნილებებში უნ-
და ვეძიოთ. შემდეგში მან გამოყენება ჰქოვა მე-
ზობელ ტომებსა და ხალხებს შორის მისვლა-მო-
სვლაში, საომარ მოქმედებათა დროს, სამეცნიერო-
კლევა-ძიების მიზნებისათვის და თან სპორტის
ერთ-ერთ სახედაც იქცა. იგი ადრიდანვე არ იყო
მოკლებული ბუნების სიღიაღითა და მშვენებით
დატებობის ხალისს.

მთასვლელობა რომ მთის ხალხების ყოფილან-
და იბადა, ამას ეჭვმიუტანლად ადასტურებს საამი-
სო ინვენტარის პირვანდელი სახეების გაცნობა.

მოხევური ხამი ტყავის ძირგამოწნული „ბანდუ-
ლები“, ასეთვე სვანური „ჯაბრალ“, თუშური
მატყლის წინდასავით ნაქსოვი და სქლად ძირგა-
მოქსოვილივე „ჩითები“, — ყველა ესენი მთა ად-
გილას — თოვლში, ყინულსა და კლდეზე სავალად
შექმნილა.

ყინულშე და მეტისმეტად ციცაბო დაქორდე-
ბულ მთის კალთებზე ფეხის მოსაყიდებლად მთიე-
ლები უხსოვარი დროიდან ხმარობენ „წრიაპებს“
— რკინას, მაგალითად, ჯვარედინს, რომლის ოთხი-
ვე ბოლო წვეტით, „ქბილით“ თავდება.

დღევანდელი წერაყინი ორი იარაღის შეხამების
შედეგია: რკინისწვეტიანი დასაბჭენი ჯოხისა, და
ერთნაირი ყინულის საკვეთი ცულისა, რომელსაც
ზოგი მთის ხალხი ხმარობდა.

დასასრულ მოვიხესნიოთ აგრეთვე ღრმა თოვლ-
ში სასიარულო, საბიჭებელი თხილამურები (მაგა-
ლითად, „კალათები“ და სხვა), რომელთა თავთა-
ვისი სახეობა ცნობილია ჩვენი მთიანეთის ყველა
კუთხეში.

მთიანეთში პირველ მოგზაურ-მკვლევართა ალ-
წერილობანი და მთაში საომარ მოქმედებათა ის-
ტორიაც (მაგალითად, სახელოვანი რუსი მხე-
დართმთავრის ა. სუვოროვის ლაშქრობა და ბრძო-

ლა ალპებში) მოგვითხრობენ, რომ, სულ მარტივ
მთასვლურ საჭურველთან ერთად, აღრევე იქმა-
რებოდა თოქის ერთნაირი ტექნიკა, როგორც სიმ-
ძიმეთა სატარებლად, ისე უხიფათობის მიზნითაც,
და ზოგჯერ — პალოებიც კა.

მთასვლელობის განვითარება ამ სიტყვის ვიწრო
მნიშვნელობით, ე. ი. სწორედ მაღალმთიანეთის
მწვერვალების დაცყრობის მიზნით, ჩანს, XVIII
საუკუნიდან იწყება.

მეფის რუსეთში მთასვლელობამ ვერ ჰქოვა
გავრცელება.

მხოლოდ სსრ კავშირში დაიჭირა მთასვლელო-
ბამ სათანადო აღვილი, მხოლოდ საბჭოთა წყობი-
ლების პირობებში გახდა იგი მშრალელთა ფართო
მასების აღზრდის, შრომისა და დასვენების ღირ-
სეული იარაღი.

მაგასვლელობა სპორტის ის სახეა, რომელიც სი-
ჯანსაღეს ჰმატებს ჩვენს ახალგაზრდობას და ავ-
თარებს მაში შეუდრეველ ნებას, მოუღუნებელ
გამძლეობას, ფხიზელ წინდახედულობას და ამხა-
ნაგურ გამტანობას.

მთასვლელობაა რომ გვაცნობს და გვაყვარებს
ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ძნელად მისავალ
მთიანეთს.

მთასვლელობა იმ ხერხების სისტემაა, რომელიც
სამსახურში უდგება მეცნიერულ კვლევა-ძიებას
ჩვენი ქვეყნის უშრეტი საჭარმოო ძალების გა-
მოვლინება-შესწავლაში და უძლეველად ხდის
საბჭოთა მებრძოლს მისი სამშობლოს მთიანი საზ-
ღვრების დაცვაში.

საბჭოთა მთასვლელობა საქართველოში დაიბა-
და. 1923 წლის აგვისტოში და სექტემბრის პირველ
რიცხვებში მოხდა ორი პირველი საბჭოთა ასვლა.
მყინვარწვერზე ავიდნენ: საქართველოს გეოგრა-
ფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის
განყოფილების ექსპედიცია, გ. ნიკოლაძის ხელ-
მძღვანელობით, სულ 18 კაცი, ახალგაზრდობა, მათ

შორის 5 ქალი, და საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპედიცია, პროფ. ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით, სულ 7 ქაცი, მათ შორის ერთი ქალი — ალექსანდრა ჭაფარიძე, ამჟამად სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი მთასვლელობის დარგში.

ეს იყო მასობრივი ასვლები — გაწყდა კავშირი ერთეულების მთასვლელობასთან, ნათელი გახდა, რომ მთასვლელობა ჩეცულთათვის კი არ არის მხოლოდ, არამედ მისაწვდომია და სასურველი ყველა ჯანსაღი და მოწადინებული ადამიანისათვის, მეტადრე ახალგაზრდობისათვის. ამასთან ერთად საბჭოთა მთასვლელობას დაბადებითვე დაკყვა მიზანშეწონილი, საზოგადოებრივი საქმიანობის სახე, იგი შორს გადგა გულის მოსაონებელი ფულებისაგან.

მას აქეთ საბჭოთა მთასვლელობამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. საბჭოთა კავშირს ამ მხრივაც, როგორც მრავალ სხვა დარგში, მსოფლიოში პირველი აღგილი უჭირავს.

სიმაღლოვან ასვლებში და ტრავერსებში (მწვერვალის ან რიგი მწვერვალების თანმიმდევრობით გადავლა ერთ ჭერობაზე) საბჭოთა მთასვლელებს ბადალი არა ჰყავთ.

შეიძლებოდა მრავლად დაგვესახელებინა ჩვენი მთასვლელების სამაგალითო გამარჯვებები, მაგრამ საურნალო სტატიის ფარგლები ამის საშუალებას არ გვაძლევს.

საბჭოთა მთასვლელობა ნამდვილად ხალხური სპორტი შეიქმნა.

მკვეთრად გამოისხა აგრეთვე ჩვენში მთასვლელობის გამოყენებითი მხარეც. მარტი ერთი მაგალითით რომ დავკმაყოფილდეთ, პამირის—მსოფლიოს ბანის შესწავლა მთასვლელების მონაწილეობის გარეშე შარმოუდგენელიც კი იქნებოდა. შუა აზიის ამ მრავალი თეთრი ლაქის შემცველ ზეგანზე 1928 წლიდან მოყოლებული მუშაობენ სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციები, რომლებშიაც მხურვალე და თავდადებულ მონაწილეობას იღებენ სპეციალური მთასვლური ჯუფები; მათ დაუფასებელი სამსახური გაუწიეს სამეცნიერო-კვლევით საქმეს და საბჭოთა მთასვლელობის ბევრი ღირსშესანიშნავი გამარჯვება სწორედ ამ ექსპედიციების მუშაობის პროცესშია მოპოვებული.

დავასახელოთ მეცნიერების ზოგი დარგი, რომელშიაც მთასვლელობას შეუძლია შეიტანოს და შეიტანა კიდეც თავისი წვლილი. ეს არის მაღალ-მთანეთის გეოგრაფია, მეტეოროლოგია, გეოდეზია და კარტოგრაფია, გეოლოგია და სხვა.

როდესაც სამამულო ომის დროს ფაშისტური კაციჭამია ურდოები კავკასიონს მოადგნენ, მის დაცვას, დიდ სტალინის მითითებათა საფუძველ-

ზე, ქართველი ხალხის სამაყო შვილმა ლაზერები ბერიამ მტკიცე ნიადაგი შეუქმნა. მისი განკარგულებით საბჭოთა არმიის მებრძოლი ნაწილებიდან ოუზურგიდან მთასვლელებმა საქართველოს მიაშურეს და, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ჩადგნენ მებრძოლთა რიგებში უდელტეხილებას და ქედებზე. ფაშისტური ალბური ჭარები უკუკვაულ იქნენ.

ეს გამოცდილება დავიწყებას არ უნდა მიეცეს. ყოველწამის უნდა გვასხვდეს, რომ მსოფლიო ორ ბანაკადაა გაყოფილი, რომ ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმი ცდილობს კვლავ ომის ცეცხლი დაანთოს მსოფლიოში, და რომ ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელი საზღვრების დიდი ნაწილი მთიანეთზეა გადაჭიმული.

საბჭოთა მთასვლელობის ხელთაა და იგი იყენებს კიდეც ტექნიკის ყოველგვარ პროგრესს, რაც კი შეიძლება მისი მიზნების მიღწევას გამოადგეს.

ჭერ კიდევ 1934 წელს დაიწყო რადიოს და ავიაციის გამოყენება მთასვლურ ლაშქრობებში.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მას შემდეგ რადიოკავშირიცა და ვიაციაც მტკიცედ დამკვიდრდა მთასვლელობის პრაქტიკაში, როგორც მაშველი სამსახურის უზრუნველსაყოფად, ისე თვით ლაშქრობათა გასაადგილებლადაც.

საბჭოთა მთასვლელობის თავისებურებათა და გაზრდილ მოთხოვნილებათა შესაბამისად განვითარდა, გამდიდრდა და გაუმჯობესდა მისი საკუთარი ტექნიკაც.

მთასვლური ტექნიკა ძირითადად ემსახურება მანძილზე სიმძიმეთა გადანაცვლებას. ეს სიმძიმენი თვით მთასვლელის სხეული და მის მიერ საზიდი ბარებია. ამ გადანაცვლებას რიგი გამართულებელი გარემოება ახლავს. ჭერ ერთი, იგი, საბოლოოდ, სიმაღლის ცვლილებასთანაა დაკავშირებული — ხდება ქვევიდან ზევითკენ და პირიქით. სიმძიმის გაღამნაცვლებელი თვით მთასვლელია; იგი მხოლოდ თავის საკუთარ ძალას იყენებს, მუშაობა კი უჩვეულო, რთულ და სახიფათო პირობებში უწევს. რაც უფრო მეტი სიმაღლეა ზღვის დონიდან, მით უფრო მეტია პარას პარას და ცვალებადია ამინდი. საკმარისი იქნება ითქვას, რომ ყოველი 100 მეტრი სიმაღლის კვალობაზე პარას ტემპერატურა 0,5—1°-ით მცირდება. მცირდება აგრეთვე პარას წნევა და უანგბადის შემცველობაც პარას შინაგანი უნარის ამცირებს. დასასრულ, მთასვლელმა უნდა იმოძრაოს უგზოდ, ციცაბო და ძნელად დასაძლევა დაგილებში — მთის დაკორდებულ კალთებზე, კლდეზე, თოვლში და ყინულზე, საღაც დასხლტომა სულ ადვილი და მეტად სახიფათოა.

მთასვლური ილეთები შეიძლება დაჯგუფდეს დასახული ამოცანებისა და იმ სიძნელეთა მიხედვით, რაც მთასვლელს წინ ეღობება. ეს იქნება:

ა) საკუთრივ სვლის ტექნიკა (სხვადასხვა მისადაგომებზე, ბალახოვან ფერდობებზე, მორენებზე, ნაშალზე, კლდეზე, თოვლში, ფირნში — თოვლყინულაში და ყინულზე);

ბ) მოძრაობა თოკის შემწეობით (სადაც საკუთრივ სვლა აღარ ხერხდება);


გ) ტეირთების გადანაცვლების ტექნიკა;

დ) უხიფათობის (დაცვის) ტექნიკა.

მთასვლელი ყველა ამ სიძნელეს ხელცარიელი როდი უმკლავდება, მას აქვს თავისი საჭურველი — ხელსაწყო-იარაღი. მთასვლური ტექნიკა ამ საჭურვლისა და შესაბამი ილეთების მთლიანობას წარმოადგენს.

საბჭოთა მთასვლური

საჭურვლის განვითა-



რებისა და გაუმჯობე-

სებისათვის დიდი მუ-

შაობა წარმოებდა და

წარმოება.

მთასვლური ფეხ-

საცმელი საჭურვლის

სახეობასაც წარმოად-

გენს. მთასვლელმა ფეხი



მოჭედილი ფეხსაცმელი

და ლოჯი.

დოს, საჭიროა ფეხსაცმელის ძირსა და მთის კალთას შორის ძლიერი ხახუნი განვითარდეს. საამისოდ ფეხსაცმელი იქვედება საგანგებო ლურსმნებით, რომლებსაც „ლოჯი“ ეწოდება.


მთასვლელობის თითქმის უნივერსალურ იარაღს წარმოადგენს წერაყინი, რომელიც იხმარება რო-

გორც დასაბჯენად და ამით დამატებითი, მე-სამე საყრდენი წერტილის შესაქმნელად, ისე თავდაცვისათვის და ამხანაგის დასაცავად, დასხლეტისას სრიალის შესაჩერებლად და, და-სასრულ, თოვლყინულაში და ყინულში საფეხურების საჭრელად.

ყინულის დაძლევის ტექნიკის დიდად გაუმჯობესებამ და კლდეზე ძრომის დროს გრძელი წერაყინის ტარების უხერხულობამ გამოიწვია მისი საგრძნობი შეცვლა. და აი, ნიჩი-სებური ნაწილი — მას პალოების დასარქობ უროდ შეცვალა, ნის-


კარტს კი ნიჩისებური დანამატი შეუღუდდა, ხოლო ტარი დასაშლელ-ასაწყობი გაუკეთდა. ამრიგად ახლა წერაყინი, როცა დასაბჯენად იხმარება,

შეიძლება დაგრძელდეს, მეტად ციცაბო კალოებზე და საფეხურების საჭრელად კი დამოკლების ულოგისათვის მეტნაწილად უფრო ხერხიანია და თან აღ-კილად ასრულებს უროს, წერაქვის, ცულის, ნიჩისა და ბევრ სხვა დანიშნულებას.



ჩეულებრივი და გაუმჯობესებული წერაყინი.

ყინულზე და თოვლყინულაზე სასიარულოდ წრიაპები იხმარება. უკანასკნელ ხანებამდე ეს იყო ათი თანასწორებილიანი რკინის ჩარჩო, რომელიც ფეხსაცმელს ქვევილან ამოებმება ხოლმე; ტერფის მოდრეკა რომ არ შეზღუდოს, ამ ჩარჩოს წინა ოთხ კბილთან სახსარი აქვს დატანებული. ასეთი წრიაპი ათსავე კბილზე ერთბაშად უნდა დადგეს და ამიტომ დიდ დაქანებაზე მოითხოვს კოჭ-წვივის სახსრის გამუდმებულ და მეტად დამღალავ მოდრეკას. ამ ნაკლის ასაცილებლად, ფერ ერთი, ათებილა წრიაპს დაუმოკლდა ორი წინა კბილი, სახსარი ბოლოში, ქუსლთან მოექცა და ასე გაკეთდა, რომ წრიაპი შეიძლება ფეხის ზომაზე დაგრძელდ-დამოკლდეს და, მეორე მხრიცა, შეზღულავდა თორმეტკბილა წრიაპი წყვილი წინწა-შვერილი გრძელი კბილით; მას გაუკეთდა აგრეთ-



ჩეულებრივი ათებილა წრიაპი, ახალი ათებილა და თორმეტკბილა წრიაპები.

ეს საგანგებო, წვიმზე დასაბჭენი მოწყობილობა, რომელიც ამცირებს კოჭ-წვიმს სახსრის დატვირთვას.

ახალი ტიპის წრიაპები შესაძლებელს ხდის 50—60 გრადუსიანი დაქანების კალთაც კი საფეხურების გაუჭრელად იქნას დაძლეული.

დიდი დაქანების კლდებზე სვლის, ან უკეთ რომ ითქვას, ძრომის ტექნიკის საფუძველი ის დებულებაა, რომ ყველა ცალკე მომენტში მთასელელს არ უნდა ჰქონდეს სამ საყრდენ წერტილზე ნაკლები, ე. ი. მუშაობს ფეხებიც და ხელებიც, თან ყოველი კიდურის გაღანაცვლებისას სამი დანარჩენი კლდეზე უნდა იყოს დაბჯენილი ან მოჭიდებული. კლდეზე სვლისას მთასელელი ზოგჯერ სხეულის ხახუნსაც იყენებს. ასე ხდება, მაგალითად, როდესაც კლდის დაძლევა წარმოებს განიერი ნაპრალების, ე. წ. „ბუხრების“ გავლით, რომლებშიაც მთასელელი კედლებს ზურგით, მხრებით ან მუხლებითაც ებჯინება.


როდესაც ყინულის კედელი მეტად ციცაბოა, კლდე შვეული ან საკმაო დასაბჭენ-მოსაჭიდს მოკლებული, მთასელელი იძულებული ხდება თოკის შემწეობით იმოძრაოს. დასაშვებად ასეთი მოძრაობა ან ე. წ. ბარძაყ-მხარილლივი ილეთით წარმოებს, ან, თოკის საგანგებო სალტეში ჯდომელად, კარაბინის თუ ახლახან შემოლებული ბლოკ-მუხრუჭის საშუალებით. კარაბინი ფოლადის რგოლია ზამბარიანი საკეტით, რომელიც შიგ თოკის ჩართვის საშუალებას იძლევა. ბლოკ-მუხრუჭში თოკი ნებისმიერად დავიწროებულ ან გაფართოებულ მმრუნავ ლარში მოძრაობს. ყველა ამ შემთხვევაში დაშვება თვით მთასელელის სხეულზე, კარაბინში თუ ბლოკში ა. ო. კის ხახუნის გამოყენებით ხდება.

თოკი მაგრდება კლდის ქიმზე, ყინულში გამოკვეთილ სვეტზე ან კარაბინგაცმულ კლდის თუ ყინულის რკინის პალოზე. კლდეში პალონაბზარში იჭედება. უკანასკნელ ხანებამდე საჭირო იყო სხვადასხვა სიღილისა და მოყვანილობის პალოები



დაშვება ბარძაყ-მხარილლივი ხერხით.

სეგრძივ, განივ და განსხვავებული სიგანის ნაბზარებისათვის. ყინულის პალოები თავის მუყალის ლობის გამო არც საიმედო იყო და ძნელი ამოსალებიც. ამეამად დამუშავებულია კლდის „ლ“ ტაპის უნივერსალური პალო და გაუმჯობესებული ყინულის პალო.




გაუმჯობესებული გარაბინები და კლდისა და ყინულის პალოები.

დასაშვებად თოკი ან ორკეცად იხმარება ან პალოზე და კარაბინზე ისეთი მოწყობილობითაა დამაგრებული, რომ დაშვების შემდეგ მისი ჩიმოლება ქვემოდანვე შეიძლება.

გაცილებით როტულია და შრომატევადი თოკით ასვლა, იგი ე. წ. უზანგების საშუალებით წარმოებს. უზანგები ფეხის გასაყრელი თოკის მარყუჯებია, რომლებიც კლდეზე მორიგეობით სულ უფრო და უფრო მაღლა დარჭობილ პალოებს კარაბინთ ეკიდება. ახლახან სამისოდ ხმარებაში შემოდის ახალი ფოლადის იარაღი — „კიბორჩხალა“ ანუ „კლანჭი“ და ყინულის ლუზა-პალო, რომლებსაც უკვე უზანგი ან დასაშვები თოკი უკავშირდება.

თოკით ასვლის მეორე ილეთი იმაში მდგრამარეობს, რომ უზანგები წინმავალი მთასელელის მიერ აღრევე ატანილ და ზემოთ დამაგრებულ თოკს ე. წ. ჩამჭიდი კვანძით უკავშირდება. ეს კვანძი თავისუფალ მდგომარეობაში თოკზე აღვილად სრიალებს, დატვირთვის დროს კი ჩაპვდება ხოლმე და აღარ მოძრაობს. მთასელელი მორიგეობით ანაცვლებს ზემოთკენ უზანგების ჩამჭიდ კვანძს და ასე აპყვება თოკს, ვიდრე შევეულ კლდეს ან ყინულს არ შეივლის.

ტვირთის ტარების მთავარი საშუალება ზურგისათაა. ცალკე სინელეების გადალახვისას ტვირთის გაღანაცვლებლად რიგი ხერხები იხმარება.



„კლანჭი“ და ლუზა-პალო.

პალოების, კარაბინების, ბლოკ-შუხრუჭებისა და თოკის შემწეობით იმართება ხოლმე სწვადასსვა სახის პოლისისტები, ე. ი. მოძრავი თუ უძრავი ბლოკები. როგორც მაგალითი შეიძლება აგრეთვე დავასახელოთ მღინარეზე ან ნაპრალზე გადასვლა ან ბარგის გადატანა გადაჭიმულ თოკზე კარაბინის ან ბლოკის სრიალით; ბარგს კარაბინზე ან ბლოკზე ჰქილებენ და გაღმა დამხმარე თოკის გაწევით გააქვთ.

საბჭოთა მთასვლელობის გარდაუვალი მოთხოვნაა უხიფათობის სრული უზრუნველყოფა. ამ მხრივ ცალქე უნდა გამოიყოს, ასე ვთქვათ, პროფილაქტიკური ზომები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მთასვლელის კვალიფიკაცია უნდა შეეფერებოდეს დასახულ ამოცანას, ასევე ზედმიწვნით უნდა მომზადდეს, ანგარიში უნდა გაეწიოს დროს, პავისა და ამინდის წირობებს და სხვა. შთასვლელს უნდა ახსოვდეს წესი: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ და არ უნდა თაკილობდეს ამ წესის დაცვას.

მაგრამ არსებობს აგრეთვე მთასვლელობის ილეთების სპეციალური სისტემა, რომელსაც დაცვის ტექნიკა ეწოდება. წერაყინის მესამე საბჭენ წერტილად გამოყენების გამოკლებით, მთელი დაცვის ტექნიკა თოკის მუშაობას ეყყარება. მთასვლური თოკი ორგვარია: მთავარი (საუკეთესო ქერელის ან სიზალის ბოჭოსი, უკანასკნელ ხანებში—კაპრონისა) 12—14 მმ. სისქისა და 1000—1200 კგ გამძლეობის მქონე, და დამხმარე 6—8 მილიმეტრიანი, 400—600 კგ გამძლეობის მქონე თოკი.

დაცვის ყველა ხერხი იმაზეა აგებული, რომ მთასვლელის ვარღნის შედეგად განვითარებული კინეტიკური ენერგია უნდა შთანთქას ხსუნმა და რამდენადმე — თოკის გაწელადობამ.

ამის მიხედვით, თოკი ან მთასვლელის მხარზე (დგომელა) თუ წელზე (ჯდომელა) შემოვლებული და ამხანაგის სვლის შესაბამისად თანდათან „გაიცემა“ დასაშვებ სიგრძეზე (ვარღნა რომ დიდ სიღრმეზე არ მოხდეს), ან თოკლში დარჭობილ წერაყინს შემოეხვევა, ან კიდევ ქიმს თუ პალოში



უზანებით ასვლა.

გაყრილ კარაბინს მოედება. შესაძლებელია ამ ილეთების შეხამებაც.

თოკის მტკიცეთ, უძრავად დამაგრება დაზუსტებელია: სულ მცირე დინამიური დარტყმის გამო რგი გაწყდება დამაგრების წერტილთან ან, თუ მთასვლელის სხეულზეა მოდებული, დამცველსაც გადაითრებს.

თუ თოკი ხარისხიანია, მთასვლელი კი მარჯვე და ხერხიანი, თუ თოკი მეტად გრძლიდ არ „გაიცა“ და დამცველმა ვარღნის დროს იგი საკმარის მიუშვა, დაცვის ცნობილი ილეთები, მეტად რე კი ქიმზე ან კარაბინით დაცვა, სრულიად სამედოა.

ეს ყველა კარგი, როდესაც მთასვლელს ხელთ აქვს მთელი ეს თანამედროვე საჭურველი. მაგრამ როდესაც მთასვლელობა თავის გამოყენებით როლში გამოიდის და, ადვილი შესაძლებელია, მისი რთული ტექნიკა გაუმართლებელი, მეტის მეტად გამართულებელი ბარგი აღმოჩნდეს, ანდა როდესაც იგი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, აღარ ვარგა ან ხელთ აღარა გვაქვს, როგორ მოიქცეს მაშინ მთასვლელი თუ ის, ვისაც სხვა გზა არ აქვს, მაღლა მთაში უნდა იმოძრაოს და იქ იმუშაოს?

საამისო გამოცდილება დიდმა სამამულო ომმაც შეგვძინა. ყველა მთასვლური სახელდახელო საჭურვლისა და ხერხების დახასიათება შორს წაგვიყვანდა. დავასახელოთ მხოლოდ, რომ დაკორდებულ კალთებზე, თოკლში და ზოგჯერ თოვლყინულზედაც წრიაპის მაგივრობას ეწევა თხილის ან სხვა რომელიმე მცენარის მოქნილი ტოტი, რგოლად გახლართული და ფეხსაცმელზე წამოცმული. ღასაბჭენად, ესე იგი წერაყინის ნაწილობრივ შესაცვლელად, კარგია მუხის წვერწამახვილებული ჭოხი ხელზე წამოსაცმელი მარყუით. ამავე დანიშნულებას ასრულებს და საფეხურების გასაჭრელადაც ვარგა მცირე სასანგრე, აგრეთვე მარყუებებით ნიჩაბი; ხის ორქაბს შეუძლია კარაბინის მაგივრობა გასწიოს და სხვა.

* * *

ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ მხოლოდ მიზნის სიცხადეს, სიმედგრეს მიზნის მიღწევაში და ხასიათის სიმტკიცეს, რომელიც ყველა და ყველგვარ დაბრკოლებას გადალახავს, — შეეძლო უზრუნველეყო საბჭოთა ქვეყნის სასახელო გამარჯვებანი, რომ კომუნისტების პარტიის შეუძლიან იამაყოს, რადგან იგი სწორეთ ასეთ თვისებებს ამუშავებს ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებში.

მთასვლელობა ერთ-ერთი სამედო საშუალებაა ამ თვისებების გამოსაწროობად და იმედია საბჭოთა ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო მეტად დაეწაფება სპორტის ამ უხშინარსიან სახეს.

მეტალიზაცია

იღებით განვითარებით

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

მეტალიზაციის ძირითადი ცენტები

მეტალიზაციის პროცესი წარმოადგენს გამდნარი ლითონის გაფრქვევას შეკუმშული ჰაერის საშუალებით და ამ გაფრქვეული ლითონით ფენის შექმნას წინასწარ მოძირდებული ციგნის ზედაპირზე.


გაფრქვეული ლითონით საგნის ზედაპირის დამეტალების მეთოდი ტექნიკაში შედარებით ახალი საქმეა. ამ მეთოდმა ყურადღება მიიბყრო და სათანადო პრაქტიკული გავრცელებაც ჰპოვა. გაფრქვევითი მეტალიზაციის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: ლითონს, რომლითაც საგნის ზედაპირი უნდა დაიფაროს, გააღნობენ რამე სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით, გამდნარ ლითონს გააფრქვევენ შეკუმშული ჰაერის ჭავლით და ის მიიღებს მტკერის სახეს, რომლის ნაწილაკების დიამეტრთა ზომები 0,01—0,015 მმ. ფარგლებში იმყოფება. აპარატის საჭუნილან შეკუმშული ჰაერით გამოფრქვეული ლითონის ნაწილაკების სიჩქარე საჭმალ მაღალია და აღწევს 140-დან 300 მეტრამდე წამში. ასეთი სიჩქარით გასროლილი ნაწილაკები დასამეტალებელი საგნის ზედაპირზე ეცემიან და დარტყმის ძალით მექანიკურად ეკვრიან მას. მეტალიზაციის პროცესში გაფრქვეული ლითონის ნაწილაკები ერთმეორებზე ეწყობა და წარმოიშობა ლითონის ფენა, რომელიც მტკიცედ უერთდება დასამეტალებელი საგნის ზედაპირს. ამ დროს თვით ნაწილაკებიც ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან მექანიკურად.

გამდნარი ლითონის მექანიკური საფრქვევა ხელსაწყო წარმოდგენილია 1-ლ. ნახ-ზე. მეორე ნახ-ზე ნაჩვენებია სამეტალიზაციო დანაღვარი, რომლითაც გამდნარი ლითონის გაფრქვევა და საგნების დამეტალება ხდება შეკუმშული და გახურებული ჰაერის საშუალებით. გაფრქვევითი მეტალიზაციის მეთოდი სხვა სახის მოლითონებისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ შეთოდით შესაძლებელია დავამეტალოთ ამა თუ იმ მასალისაგან დამზადებული ყოველგვარი მოყვანილობისა და ფორმის საგანი და მივიღოთ ფენის სისქე, დაწყებული 0,01 მმ-დან ზევით საჭირო ზომამდე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მეტალიზაციის


პროცესში დასამეტალებელი საგანი ნაკლებად ხურდება: მისი გახურების ტემპერატურა არ აღემატება 70—80°, რაც ძირითადი ლითონის სტრუქტურის ცვლილებას არ იწვევს.

მეტალიზაციის პროცესის გამოყენება ხდება, როგორც მრეწველობაში, აგრეთვე ტრანსპორტზე და სასოფლო-სამუშაოებში მანქანებში. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელია კოროზის საწინააღმდეგო ფენის შექმნა, საგნების დაცვა მაღალი ტემპერატურისა და აირების მოქმედებისაგან, ან-ტიფრიქციული ფენის შექმნა, მანქანის გაცვეთილი ნაწილების აღდგენა, ლითონის სხმულებში ფურცლებისა და ფორების ამოვსება, დეკორაციული ფენის შექმნა და სხვა. ძნელია ისეთი დარგის დასახელება, სადაც მეტალიზაცია სათანადო ტექნიკურ და ეკონომიკურ ეფექტს არ მოგვცემს.

გაფრქვევითი მეტალიზაციისათვის საჭირო პარალიტურის განვითარების ისტორია ორი გზით დაიწყო. ესენია: აირით მეტალიზაცია და ელექტრო-მეტალიზაცია. ამ მიზნით შექმნილია აირის მეტალიზატორები და ელექტრომეტალიზატორები. აირის მეტალიზატორი ნაჩვენებია მე-3 ნახ-ზე, ელექტრომეტალიზატორი „ЛК-2“ — მე-4 ნახ-ზე. ძირითადი განსხვავება აირითა და ელექტროენერგიით მომუშავე აპარატებს შორის ის არის, რომ პირველ შემთხვევაში მოსაფრქვევი ლითონის გაღნობა ხდება აირის წვით წარმოშობილი ტემპერატურით, მეორე შემთხვევაში — ელექტროენერ-



ნახ. 1



ნახ. 2

გით წარმოშობილი ვოლტას რკალით. დანარჩენი მხრივ პროცესი ერთი და იგივეა.

არის მეტალიზატორები უმთავრესად მუშაობები აცეტილენით. აცეტილენის გარდა შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვა საშვავი აირებიც: წყალბადი, სანათი აირი და სხვა.

ელექტრომეტალიზატორებში მოსაფრქვევი ლითონის გასაღნობად სარგებლობენ როგორც მუდმივი ისე ცვალებადი დენით ($d_a b_2 = 25-35$ ვოლტს), შეკუმულ ჰაერს უნდა ჰქონდეს 5-6 ატმ. წნევა.

საბჭოთა კავშირში ელექტრომეტალიზაციაშ უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა, ვიდრე აირით მეტალიზაციამ. ამჟამად გათვალისწინებულია ელექტრომეტალიზატორების მასიური გამოშვება, რაც წარმოებაში მეტალიზაციის დანერგვის შეტეალებლობას მოგვცემს.

მეტალიზაციის ტექნოლოგიური პროცესი

მეტალიზაციის ტექნოლოგიური პროცესი ძირითადად სამი მთავარი ეტაპისაგან შესდგება: დასამეტალებელი საგნის ზედაპირის მომზადების, მეტალიზაციის პროცესისა და დამეტალებული საგნების დამუშავებისაგან.

საგნის მომზადება მეტალიზაციის საონგის. დასამეტალებელი საგნის ზედაპირის მომზადებას დიდი ყურადღება ექვემდებარება, რადგან მეტალიზაციის ფენის შეერთება დასამეტალებელი საგნის ზედაპირთან თვით საგნის მომზადების ხარისხზე დამოკიდებული.

მეტალიზაციისათვის ზედაპირის მომზადება ითვალისწინებს: ა) ზედაპირის გაწმენდას უანგის, ზეთეულობის, ტენისა და ყოველგვარი ჭუჭყისაგან, ბ) საგნის ზედაპირისათვის ხორცლიანი სახის მიცემას და გ) მომზადებულ ზედაპირზე მეტალიზაციის წინ მშრალი ჰაერის მოქრევას. საგნის ზედაპირის მომზადება შეიძლება გაფრქვეული ქვიშით, ჩარჩე მექანიკური დამუშავებითა და ქიმიური დამუშავებით. პრაქტიკულად მიღებული და უფრო ხელსაყრელია პირველი ორი მეთოდი. ცილინდრული ფორმის ნაწილები, რომლებიც შეგვიძლია სახარატო ჩარჩე დავაყენოთ, უნდა დამუშავდეს მექანიკურად — შემოხარხვით, ბრტყელი და სხვა მოყვანილობის საგნები კი — გაფრქვე-

ული ქვიში. ცილინდრული ნაწილების ჩარჩე დამუშავების დროს ჩარჩი ისე უნდა ვამჟმოთ, რომ მიმღინარეობდეს გლეჭით ჭრა, რაც ზედაპირზე ზედაპირზე წარმოშობს ხორცლებს. მეტალიზაციის ფენის უფრო მტკიცედ მიკვრის მიზნით შეგვიძლია დასამეტალებელი საგნის ზედაპირზე შემოვჭრათ ნაგლეჭი ხრახნი. დასამეტალებელი საგნების დამუშავების დროს ადგილი არ უნდა ექნეს მათ დასგელებას, დაზეთიანებას და დაპუჭყიანებას, რადგან ამით შეერთების სიმტკიცე მცირდება. გაფრქვეული ქვიშით საგნის ზედაპირის გასაწენდათ საჭიროა გამშრალი და გაცხრილული ქვიშა, 0,2—2,5 მმ სიღილის მარცვლებით, შეკუმული და გამშრალი ჰაერი 3—5 ატმ. წნევით და ქვიშის საფრქვევი აპარატი.


მე-5 ნახ. ზე ნაჩვენებია ქვიშის საფრქვევი ერთკამერიანი აპარატი.

დამუშავებული საგანი დამეტალებამდე უნდა ინახებოდეს სუფთად და მშრალად. რადგან ტენის ან უანგის წარმოშობა დასამეტალებელი საგნის ზედაპირზე მეტალიზაციის ფენის შეერთების სიმტკიცე შემცირებას იწვევს.

მეტალიზაციის პროცესი პროცესი. ზედაპირის მომზადების შემდეგ საგანი უნდა გადაეცეს ჩარჩე ან კაბინაში დასამეტალებლად. სახარატო ჩარჩე მეტალიზაციის დროს საგანი დგება ცენტრებს შორის, მეტალიზატორი კი სუპორტზე მაგრდება სპეციალური დამჭერით. საგანი ბრუნავს, მეტალიზატორი სუპორტთან ერთად საგნის პარალელურად წინ და უკან მოძრაობს და იყრის მას გაფრქვეულ ლითონს, როგორც ეს ნაჩვენებია მე-6 ნახ. ზე.

ბრტყელი ზედაპირების მეტალიზაცია ხდება სამეტალიზაციი კაბინაში ან ახდილ სივრცეში ხელით. წერილი ნაწილების მასიურად მეტალიზაცია კი სწარმოებს მბრუნავ დოლებში. ელექტრომეტალიზაციის დანადგარის სქემა მოცემულია მე-7 ნახ. ზე.

დამეტალებული საგნების დამუშავება მეტალიზაციის შემდეგ საგანი უნდა დამუშავდეს შემოხარევის, შემოხეხვის ან სხვა რაიმე საშუალებით. მანქანის ნაწილები, რომელთა აღდგენა ან ახლის დაფარვა მეტალიზაციის საშუალებით მოხდა, დამუშავდება სახარატო ჩარჩე და შემდეგ სახე ჩარჩე. თუ მეტალიზაციის ფენა გათვალისწინებულია კოროზიის საწინააღმდეგოდ, მაშინ ამ ფენას ქიმიურად დამუშავებენ. ალუმინით დამეტალებული ფოლადის




ნახ. 3.

ნაწილებს თერმიულად დამზადებენ. თუ საგანი, რომელსაც ეს ნაწილები ეკუთხნის, მაღალი ტემპერატურის მოქმედებას განიცდის (მაგალითად, ორთქლის ქვაბების საცეცლურის ნაწილები და სხვ.), მეტალზაფირის ფენის გასამკვრივებლად იხმარება სატკეპნი ჩარხები და ლითონის მბრუნავი ჯაგრისები.

მეტალზაფირის ფენის ზოგიერთი თვისებები

დადგენილია, რომ მეტალზაფირის ფენა უფრო ფორმიანია, ვიდრე სხმული ლითონი. ამ მხრივ მეტალზაფირის თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს. ფორმიანი ლითონის ფენა ხელს უწყობს ზეთის შთანთქმას, რაც ხახუნზე მომუშავე ნაწილებს კარგ ანტიფრიქციულ თვისებას აძლევს. ეს თვისება მეტალზაფირისათვის დადებითად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ფორმიანობა კოროზიის საწინააღმდეგო ფენისათვის უარყოფითი თვისებაა. აღსანიშნავია მეტალზაფირის ფენის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც იმაში მდგრადრეობს, რომ გაფრქვეულ ლითონს უფრო მეტი სისალე აქვს, ვიდრე გასაფრქვევად აღებულ მავთულს ჰქონდა. სისალის ზრდა სხვადასხვა ლითონისათვის სხვადასხვაგარია. ფოლადისათვის ეს ზრდა საშუალოდ 40—50% აღწევს. მეტალზაფირის ძირითად ფაქტორად, რომელიც ამ მეთოდის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას ახდესათებს, უნდა ჩაითვალოს დასამეტალებელი საგნის ზედაპირთან შეერთების სიმტკიცე, რაც დამოკიდებულია საგნის ზედაპირის მომზადების ხარისხზე, მეტალზაფირის პროცესის რეჟიმზე, დასამეტალებელი საგნის წინასწარი გახურების ტემპერატურაზე და საგნის ფორმაზე.


უნდა აღინიშნოს, რომ მეტალზაფირის ფენის მექანიკური თვისებები უფრო დაბალია, ვიდრე



ნახ. 5

ჩამოსხმული ლითონისა, რაც მისი სტრუქტურის თავისებურებით აიხსნება. გაფრქვეული ლითონის ფენაში ნაწილაკები შეერთებული არიან მექანიკური ძალით, არა აქვთ ერთგვაროვანი სტრუქტურა, ფენა ნაკლებად ელასტიკური და უფრო მყიფეა. მეტალზაფირის ფენა დამოკიდებლივ სუსტად მუშაობს გაჭიმვაზე, ხოლო გრეხვასა და დუნვაზე — დამაკმაყოფილებლად. ამ მხრივ მისი თვისებები თუჭის თვისებებს უახლოვდება.


რადგან მეტალზაფირის ფენას დაბალი მექანიკური თვისებები აქვს, ამისათვის დასამეტალებელი ნაწილების სიმტკიცის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ უნდა მივიღოთ მეტალზაფირის ფენის სისქე და ყოველგვარი დატვირთვა უნდა ვიანგარიშოთ ძირითად მასალაზე.




მეტალზაფირი, როგორც
მანქანის გაცვეთილი ნაწილების აღდგენის საშუალება

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მეტალზაფირი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიზნისათვის. აქ შევეხებით მხოლოდ ერთ-ერთ თვისებას, როგორც მანქანის გაცვეთილი ნაწილების აღგენისა და მათი მუშაობის გახანგრძლივების საშუალებას.

მანქანის გაცვეთილი ნაწილების ზომების აღდგენა და მათ მუშაზედაპირზე გამდევ ფენის შექმნა ფრიად აქტუალური საკითხია, რად-



ნახ. 4



ნახ. 6


გან არსებობენ მანქანის მთელი რიგი ნაწილები, რომელთა აღდგენა აირის ან ელექტროდალუობის საშუალებით არ შეიძლება, ერთიან ამ პროცესის დროს ხდება საგნის არათანაბარი გახურება, რაც ლითონში შინაგან ძაბვებს, დეფორმაციასა და ხშირად ბზარებსაც კი წარმოშობს. მაგალითად, ორთქლმავლის კულისის მექანიზმის, შეუღლებუ-

სიმაღლური ღრიჟო, ერთ მილიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ე. ი. ლილვაკი ან მილსაყი დიჭიური მეტრზე ნახევარი მილიმეტრის გაცვეთის შემდეგ უნდა გამოიცვალოს. ამიტომ ეს ნაწილები ძალზე ხშირად იცვლება. საჭირო გახდა ისეთი მეთოდის გამონახვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ნაწილების აღდგენა და მათ ზედაპირზე ცვეთის მიმართ გამძლე ფენის შექმნა.

მეტალიზაციით მიღებულ ფენის ძირითადად თვისებების შესწავლის შემდეგ ამ სტატიის ავტორმა დაამუშავა ასეთი ერთ-ერთი მეთოდი ორთქლმავლის ნაწილების აღსაღენად. მეტალიზაციის ფენის გამოცდა ცვეთისაღმი მდგრადობაზე ჩატარებულ იქნა როგორც ლაბორატორიაში, აგრეთვე ექსპლოატაციაში მყოფ ორთქლმავლებზე.

მეტალიზებული ნაწილების გამოცდამ ექსპლოატაციაში და მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარებულმა ეკონომიურმა ანალიზმა შემდეგი შედეგები მოგვცა: „ე“—სერიის ორთქლმავლის კულისის მექანიზმის, გადასაბმელი რვილებისა და ჯვართვის ლილვაკების მეტალიზაციით მიღებული ეკონომია ყოველ ათი ათასი ორთქლმავალ-კილომეტრის გარბენაზე შეადგენს 416 მანეტს, რაც აღნიშნული ნაწილების ღირებულებას ამცირებს 87%-ით, ხოლო ლითონის ხარჯს — 92%-ით.

ამგვარად, მეტალიზაცია როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებულია. მისი დანერგვა ერთ-ერთ გადაუდებელ საკითხად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი სახის მანქანების გაცვეთილი ნაწილების როგორც



ნახ. 7

ლი რვილების, ჯვართვისა და მთელი რიგ სხვა კვანძთა ლილვაკების აღდგენა გაცვეთის შემდეგ არ სწარმოებს და მათ ცვლიან ახლით. ამ ნაწილების დასაშვები გაცვეთა ძალზე მცირეა, სახელდობრ კულისის მექანიზმისა და შეუღლებული რვილების ლილვაკებსა და მილსაყებს შორის მაქ-

ალსადგენად, ისე ახალი ნაწილების დასამეტალებლად ცვეთისაღმი მდგრადობის გაზრდის მიზნით.

ელექტრომეტალიზაციისათვის საჭირო დანაუგარები და ტექნიკოლოგიური პროცესი ძალზე მარტივია და წარმოებისათვის ადვილად ასათვისებელი.



მოსწავლე ახალგაზრდისა ეუფლება ტექნიკას

ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც თბილისში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში გაიხსნა, წარმოადგენს შედეგს გასულ წელს გამოცხადებული კონკურსისა თემაზე: „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“.

ბუნებრივია ის ინტერესი, რომლითაც მნახველები და, განსაკუთრებით, მოსწავლე ახალგაზრდობა ათვალიერებს და ეცნობა გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს. რომელი თვითნაკეთი ექსპონატიც არ უნდა აიღოთ, ყველა მათგანში გამოსჭივის საქმისადმი სიყვარული, ცოდნის წყურველი, დაკვირვებულობა, საზრიანობა, გულმოდგინება, სკოლაში შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარი, რაც შემდგომი წინსვლისა და გამარჯვების თავდებია.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების დიდი ნაწილი ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას დამზადებული აქვს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში და ამ სადგურების კონსულტაციით. ექსპონატები წათლად გვიჩვენებენ, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამის საფუძვლიანად ათვისებაში და როგორ აინტერესებენ ისინი მოსწავლე ახალგაზრდობას ტექნიკის საკითხებით.


კონკურსში „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“ მონაწილეობა მიიღო მრავალმა მოსწავლემ. მათი ნამუშევრები უიურის მიერ შემოწმებული იქნა რაიონულ, საქალაქო და საოლქო გამოფენებზე. რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილია ამ გამოფენებზე შერჩეული საუკეთესო ნამუშევრები.

სულ წარმოდგენილია 710 თვითნაკეთი ექსპონატი, აქედან 462 ექსპონატი ფიზიკიდან, 101—ქიმიდან, 22—ბიოლოგიდან, 51—


გათემატიკიდან, 6—გეოგრაფიიდან, 68 მოქმედი და მოძრავი ექსპონატი.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს გამოფენაზე წარმოდგენილი აქვს 64 სხვადასხვა ექსპონატი, რომელთა შორის აღსანიშნავია მგრძნობიარე თერმორელე, დამზადებული თბილის ვაჟთა მეთორმეტე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ ავთანდილ კვიტაშვილის მიერ, ქალთა მეცხრე სკოლის მეშვიდეკლასელთა მიერ დამზადებული „ქალაქის მაკეტი“, რომელიც ასახავს წყალსაღენისა და კანალიზაციის მუშაობას, „უნივერსალური ომწე“, დამზადებული თბილის ვაჟთა მეთერთმეტე სკოლის მეშვიდეკლასელ ჭუმბერ თავართქილაძის მიერ, ვაჟთა მეთერთმეტე სკოლის მეთერთმეტეკლასელ ავთანდილ მანჯავაძის მიერ დამზადებული მოლაპარაკე საათი და სხვა.

თბილისის ლენინიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის მიერ წარმოდგენილი ექსპონატებიდან აღსანიშნავია ვაჟთა მეთხუთმეტე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელების ოთარ თოდრიას, შოთა



ვაჟთა მეთხუთმეტე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელების ოთარ თოდრიას, შოთა



თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის VIII კლასის მოწაფე ი. იმედაშვილი მის მიერ აგებულ სოლენიდურ რეკრეაციურ არატექნიკურ კურსზე მონაბარებას მოახდინ.

თუთურიძის და გივი მაცაბერიძის მიერ დამზადებული მაკეტი „ელექტროენერგიის მიღება და მისი გამოყენება წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში“, ქანანაშირის ხუთასართულიანი შახტის ჭრილის მაკეტი, დამზადებული თბილისის მეჩვიდმეტე საშუალო სკოლის მეათეკლასელების ანზორ ზარნაძისა და ნოდარ თეთრაძის მიერ და სხვ.

თბილისის ვაჟთა მეოთექვსმეტე საშუალო სკოლის მეათეკლასელებს კინტრაიას, მუჯირს, დვალს, მამალაძეს, ვაშაკიძესა და ცაგარეი-შვილს კრისტალიზაციის მეთოდით შვენივრად გაუკეთებით მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა. კარგია აგრეთვე „ფანტასტიკური მოგზაურობა მენდელეევის ელემენტთა პერიოდულ სისტემაში“, რომელიც თბილისის

საღმი დახრილად გასროლილი სხეულის სადემონსტრაციო ხელსაწყო, დამზადებული ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის მეათეკლასელ მარიამ პაპენაშვილის მიერ, დეტექტორული მიმღები „ნამცეცა“, დამზადებული პიონერთა სასახლეში ლეონიდ ქუჩიანის მიერ, სოხუმის ფუნცულიორის მოქმედი მოდელი, რომელიც სამაგალითო გემოვნებით გაუკეთებით სოხუმის ქალთა ბეოთხე საშუალო სკოლის მეოთერთმეტეკლასელებს და სხვა.

გამოფენა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორის ინტერესით ეუფლება მოსწავლე ახალგაზრდობა ტექნიკას და მეცნიერების საბუნებისმეტყველო დარგებს.

ახალი მასალები სიეცის სამსახურის შესახვევი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ქელთა დაცვის განყოფილებამ ამ გაზაფხულზე მცირე გათხრით მუშაობა ჩაატარა მცხეთაში, სკეტი ცენტრულ ის ტაძართან (დოც. დ. მშენებელაძე). მუშაობის მიზანი იქმ შესწევლა იმ ტექნიკური ხერხებისა, რომელთაც ხმარობდნენ ძველი ქართველი მშენებლები ესოდენ დიდობი, მძლავრ ნაგებობათა დასაცურნებლად. ამ ძირითადი საკითხის გამორკვევისას ზოგად სხვა, არქეოლოგიურად სიინტერესო ფაქტიც გამოვლინდა.

ასე, მაგალითად, თითქმის ყოველ საცდელ თხრილში, რომელიც ტაძრის საძირკველს ირგვლივ იქნა ამოღებული, აღმოჩნდა ფილაქებით აგებული აკლამები, რომელთა უმეტესობა ტაძრის აშენების, ე. ი. X I საუკუნის შემდეგ ჩადგმული ჩანდა. ჩვეულებრივ ასეთ ადგილას დაკრძალვის უფლება ენიჭებოდათ ხოლმე დიდორნი მდგდელმთავრებს ან იმათ, ვისაც ტაძრის აშენება-შეკეთვაში თუ დაშვერებაში რამე ლვაწლი მიუძღვდა. სანიმუშობ გაითხარა ერთ-ერთი აკლამა და გამოირჩეა, რომ იგი საოჯახო სამარხს წარმოადგენდა. მიცვალებულთათვის ჩატანებული მცირერიცხვა-

ორმოცდამესამე სკოლის გენერალური გლობული გივი მელაშვილს დაუმშადებია. კარგად არის შესრულებული ქიმიური ლოტო, რომელიც დაუმზადებიათ ქალთა მეექსე სკოლის მეცნიერებული რუსულან ჩეჩელაშვილსა და ელისაბედ ზუბიაშვილს.

ყურადღებას იქცევს ხაზოვანი გაფართოების განმსაზღვრაული ხელსაწყო, დამზადებული ბათუმის გაუთა მეხუთე სკოლის მეათეკლასელების ნონეშიერვისა და სარქისოვის მიერ, ფსიქოლოგიური, დამზადებული ჭიათურის მეორე საშუალო სკოლის მეათეკლასელ ქვარიანის მიერ, ჰორიზონტი-

საღმი დახრილად გასროლილი სხეულის სადემონსტრაციო ხელსაწყო, დამზადებული ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის მეათეკლასელ მარიამ პაპენაშვილის მიერ, დეტექტორული მიმღები „ნამცეცა“, დამზადებული პიონერთა სასახლეში ლეონიდ ქუჩიანის მიერ, სოხუმის ფუნცულიორის მოქმედი მოდელი, რომელიც სამაგალითო გემოვნებით გაუკეთებით სოხუმის ქალთა ბეოთხე საშუალო სკოლის მეოთერთმეტეკლასელებს და სხვა.

გამოფენა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორის ინტერესით ეუფლება მოსწავლე ახალგაზრდობა ტექნიკას და მეცნიერების საბუნებისმეტყველო დარგებს.

ნი ნივთებიდან ყურადღებას იქცევს მინის სამაჯურები, რომელიც საერთო ძალას გავრცელებულია ჩვენში X—X III საუკუნეებში.

უფრო საუკუნედღები აღმოჩენა შიგ ტაძარში მოჰყვა ამ მუშაობას. გამოიჩინა, რომ ერთ-ერთი სვეტის ძირში (ამეამად იატაქს ქვეშ) დატანებულია ჩუქურთმანი ქვები, რომელიც თავის ძროშე, რა თქმა უნდა, ზემოთ იქნებოდა და, აღბად, ძველ სვეტს ამშენებდა. ქართული ხელოვნების ისტორიოგებმა (აკად. ნ. გ. ჩუბინაშვილმა და სხვ.) უყოფანოდ გამოიცნეს ახლად აღმოჩენილ ჩუქურთმებში V—VI საუკუნეთა დაბაზარისათვებელი სახეები. ამჯარი ჩუქურთმები კარგადაც ცნობილი ბოლნისის სინაში, რომელიც ქართული ბუროტმიძღვრების ერთ-ერთ უძველეს ქეგლად ითვლება: იგი V საუკუნის მიუტურულში არის აგებული. ეს გარემოება აღასტურებს წყაროების ცნობას, რომ სვეტიცხოველის პირვენდელი შენობა IV საუკუნეს ეკუთვნის, შემდეგ — ვაჭრანგირგასასალს (V საუკუნის ბოლო) და რომ მხოლოდ XI საუკუნეში შესცვალა ვაჭრანგისეული ეკლესია იმ დიდმა ტაძრმა, რომელსაც ახლაც გხედავთ.

ს ა რ ჩ ი ზ ი

83

0. სტალინი—ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხები	1
მშენიდვის დასაცავად, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ	4
მშენიდვის ძალები უძლეველი არიან	5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში	6
პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილი	7
მოგონებანი:	
ა) პეტრე მელიქიშვილი—აკადი შანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადე- მისის ნაცდებილი წევრი	11
ბ) გულისხმიერი აღმზრდელი—პროფ. ვ. დ. ბოგატსკი	12
გ) პ. რელიქიშვილის ნორჩი მეგობრები—პროფ. რუსუდან ნიკოლაძე, მეც- ნიერების დამსახურებული მოღვაწე	13
დ) ქიმიკასი მასწავლებელი და ხელმძღვანელი—დოც. სოფიო ჭრელაშვილი ახალი საარტიკო მასალები ვ. პეტრიაშვილისა და პ. რელიქიშვილის შესახებ—იოსებ გორგაძე, ლეიკონის სალქო არქივის უფროსის თანამებურებელი	15
დიდი ცსტრონიული თარილი (ი. ბ. სტალინის მიერ კრემლში რეკინიგზის მუშაკთა მიღე- ბისას წარმოთქმული სიტყვის 15 წლისთვის)—იოსებ მარინაშვილი, ამიერკავკასიის რეკინიგზის მთავრი ინჟინერი	19
ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი—საბჭოთა ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართვე- ლოს კომიტეტის თავმჯდომარე	23
ნავთობის მობოვების მეთოდები—არჩილ ძიძიგური, ტექნიკის მეცნიერებათა განდიდატი	27
როგორ დაიპყრო ადამიანმა ზღვები და ოკეანები—გიორგი ჩიკვაიძე	31
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში	36
მთასვლელობა და მისი ტექნიკა—დავით ფურცელაძე	37
მეტალიზაცია—ილარიონ როინიშვილი, ლექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი . მრსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება ტექნიკას	42
	46

პასუხისმგებელი რედაქტორი—რ. აგლაძე

სარედაქტო კოლეგია:

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აგლაძე, საქ. სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი გ. კუპრაძე, პროფესორი გ. კაპაბაძე, დოცენტი მ. მირიან-
შვილი, ინჟინერი ქ. გურგენიძე, ინჟინერი შ. ჯაბუა, ე. ჭულაძე (რედაქტორის პასუ-
ხისმგებელი მდივანი).

ქალაქ თბილისი 60×92, 2 საბ. ფ., სულ 6 საბ. ფ., 1 ფურცელზე 120000 სასტამბო ნიშანი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 7.

Типография Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. Ак. Церетели № 7.



3160 5 856.

4/48

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛ
„МЕЦНИЕРЕБА да ТЕХНИКА“,
издаваемый Академией Наук
Грузинской ССР
(на грузинском языке)

Тбилиси
1950